ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 29 მარტი 1996 № 24 (249) ფასი 40 თეთრი


# კიდევ სამი ლიცენზია!

## ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

27 მარტს ბუდაპეშტის სპორტის სასახლეს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები დაეპატრონენ და ევროპის ჩემპიონატიც დაიწყო. შეგახსენებთ, რომ „თავისუფლებისგან" განსხვავებით (სადაც საქართველომ 5 ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა), ამ სახეობაში ატლანტაში გამგზავრების უფლებას ათეულში მოხვედრა იძლევა.

საქართველოს ნაკრები 25 მარტს ჩამოვიდა ბუდაპეშტში. მანამდე ჩვენებმა ორკვირიანი შეკრება გაიარეს პოდოლსკის ოლიმპიურ ბაზაზე. გუნდში 10 მოჭიდავეა. ვინც გუშინ და გუშინწინ იჭიდავა, მათ ვინაობას ქვემოთ შეიტყობთ, ხოლო დღეს ბრძოლაში კიდევ ხუთი წონითი კატეგორიის ფალავნები ჩაებმებიან. მათ შორის ჩვენებიც: ერიკ ხაჩატუროვი (52), კობა გულიაშვილი (62), გიორგი ჯინჭვალაშვილი (74), თენგიზ თედორაძე (90), ხვიჩა ქორიძე (მძიმე წონა). სულ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატში 37 ქვეყნის 251 ფალავანი მონაწილეობს.

ამბობენ, ბუდაპეშტში ბევრი ქართველი ცხოვრობსო, თუმცა, დარბაზში ასპირანტ ზურაბ ჯინჭარაძის გარდა არავინ გამოჩენილა. ელდარ კურტანიძე ისე გახდა ევროპის ჩემპიონი, დელეგაციის წევრებისა და აღნიშნული კაცის გარდა მისთვის ქართველებიდან მხარი არავის დაუჭერია. გუშინწინ სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი ჩამოვიდა ფრანკფურტიდან ბიჭების საქომაგოდ, გუშინ კი საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ მეტრეველი გამოგვეცხადა: ქალაქ სეგედში ევროთასების მატჩზე კომისრად ვიყავი და რა გული გამიძლებდა, მოჭიდავეებთან არ მოვსულიყავიო. გუშინვე ბუდაპეშტში ჩამოვიდა ნინო სალუქვაძე, რომელიც დღეს სროლაში ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება.

ახლა კი ქართველი მოჭიდავეების შესახებ, ვინც 27-28 მარტს იასპარეზა.

48 კგ. პირველ წრეში გელა პაპაშვილს მოლდოველი ვიტალი ჩებანი შეერკინა. პირველად პაპაშვილი გააფრთხილეს, მეტოქე მის დატრიალებას ცდილობდა, მაგრამ გელამ ხელი დაუჭირა და იქით ამოატრიალა. ძირითადი დრო 2:0 დასრულდა. დამატებით დროში ქართველმა კიდევ ორი ქულა აიღო და დუნედ მიმდინარე შეხვედრაც შეწყდა.

ასევე აუჩქარებლად და ნელა იჭიდავა პაპაშვილმა ბელარუს ალექსანდრ პავლოვთან. თავიდან ბელარუსი დაწინაურდა — 3:2. ამ დროს გელამ ელვისებური კისრული გააკეთა, სამი ქულა აიღო, მაგრამ ფანდი ბოლომდე არ მიიყვანა და პავლოვი ზემოდან აღმოჩნდა. ქართველი 5:4 დაწინაურდა. დამთავრებამდე 20 წამით ადრე იგი ჩოქბჯენში გადაიყვანეს, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

ორი მოგების შემდეგ პაპაშვილს ევროპის ჩემპიონთან, ბერძენ იოანის ალაჯანიანთან (!) მოუწია შეხვედრამ. გელა გააფრთხილეს, ქულა კი ბერძენს მისცეს. შემდეგ ალაჯანიანი ჩაუშვეს ჩოქბჯენში. პაპაშვილს იგი, ფაქტიურად, დატრიალებული ჰყავდა, მაგრამ მეტოქე სიტუაციიდან გამოძვრა და ორი ქულაც ჩაიწერა. საბოლოოდ — 0:3.

28 მარტის დილას, პაპაშვილი, უკვე როგორც ლიცენზიის პატრონი, ისრაელელ ნიკ ზაგრანიჩნის ეჭიდავა. ჩვენებური თავიდანვე დაწინაურდა — ჯერ ჩოქბჯენში ჩაყვანა და ტრიალი შეასრულა, მერე მეტოქე ხალიჩიდან გაექცა. მერე ზაგრანიჩნიმაც შეუტია, მაგრამ ისლა მოახერხა, რომ ანგარიში 5:3 გახადა გელას სასარგებლოდ.

იტალიელი ფრანჩესკო კონსტანტინოსთან მოგების შემთხვევაში პაპაშვილი საღამოს მესამე ადგილისთვის იჭიდავებდა. საქმე, თითქოს, აქეთკენ მიდიოდა — გელა 5:2 იგებდა. შემდეგ კონსტანტინომ ტრიალი გააკეთა (5:4). ბოლო წუთზე კი ჩახლართული სიტუაცია შეიქმნა. მოჭიდავეები ჩოქბჯენში ჩავიდნენ და ილეთთა აურაცხელი რაოდენობა შეასრულეს. როცა წამოდგნენ, ანგარიში 10:8 იყო იტალიელის სასარგებლოდ. პაპაშვილს დრო აღარ ეყო, საბოლოოდ კი მეექვსე ადგილს და ლიცენზიას დასჯერდა.

57 კგ. ჯამბულ ფუტკარაძემ რიხიანად დაიწყო. პოლონელი სტანისლავ პავლოვსკი ჯერ ჩოქბჯენით დაატრიალა, შემდეგ კისრულით წამოიღო. პოლონელი ბოლოსლა გამოფხიზლდა, როცა ანგარიში 7:3 იყო.

ფუტკარაძე აზერბაიჯანელ ვილაიათი ალიევთანაც დაწინაურდა (2:0), მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო და ეს. ალიევმა მეთოდურად დაიწყო ჩვენებურის ჩოქბჯენში გადაყვანა-ტრიალი და 6:2 გაიმარჯვა.

ბელარუს ფარჰად მაგერამოვთან ჯამბულმა ქულა ვერ აიღო. მეტოქემ ერთხელ ჩოქბჯენიდან აქაჩა ფუტკარაძე, ბოლო წუთის დასაწყისში კი დაატრიალა — 0:4. ფუტკარაძე მე-14 ადგილზე გავიდა და ულიცენზიოდ დარჩა.

68 კგ. ამ წონაში მიმდინარე ამბების შემხედვარე, კაცი უცებ მიხვდება, ფილაში ვინ ვინ არის. რაც ტარიელ მელელაშვილს თავს გადახდა, მსგავსი რამ ვერცერთმა მსაჯმა ვერ გაიხსენა — ვერც მხცოვანმა, ვერც ახალგაზრდამ. ამ შეხვედრებამდე კიდევ მივალთ. მანამდე კი მელელაშვილმა, იგივე ტარზანმ წუთსა და ათ წამში წმინდაზე მიაწვინა იუგოსლავიელი დორდე სტოიჩიჩი. მეორე წრეში 7:2 სძლია ფინელ ევროპის შარშანდელ პრიზიორს მარკო იული-პუნუკსელას. თავისი განთქმული მოგვერდებით მელელაშვილი ხალიჩის ხან ერთ, ხან მეორე ბოლოში ლურსმანივით არჭობდა ფინელს, წმინდაზეც წააწვინა, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაუთვალეს. თუმცა ეს რა არის, მთავარი ახლა ნახეთ...

მესამე წრეში, 27 მარტის საღამოს ტარზანს მაროკოში დაბადებული ფრანგი, ევროპის ამჟამინდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მეორე პრიზიორი განი იალუზი შეხვდა. ფრანგი თავიდან დაწინაურდა. მერე მელელაშვილმა ხალიჩის ნაპირზე მოგვერდი დასცხო და ანგარიში გაათანაბრა. მოქმედება ხალიჩის შიგნით რომ გაგრძელებულიყო, იალუზი ბეჭებზე იწვა. შემდეგ ფრანგმა ილეთის გაკეთება გადაწყვიტა, ტარზანა მას ტანზე შემოეხვია, მიაწვა და ბეჭებზე დააგდო. ჭიდაობა გაგრძელდა და ჩვენებურმა უკვე ალალად ბეჭებით მიაკრა იალუზი ხალიჩას. შეხვედრა მელელაშვილის გამარჯვებით დამთავრდა.

აქ ფრანგი მოჭიდავე და მისი მწვრთნელები კახპა ქალებივით აჭყიპინდნენ: წმინდა არ იყოო. თავდაპირველი პროტესტი სამდივნომ მათ თავზე დაახია. ფრანგებმა მეორე პროტესტიც შეიტანეს, და, უცბად მათ საჩივარს ყურადღებით მოეკიდნენ...

ფილას ვიცე-პრეზიდენტი ფრანგია, ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტიც — ასევე. ამასთან ამ შეხვედრაში მოგებული უნგრელ (ე. ი. მასპინძელ) ატილა რეპკას ხვდებოდა. ჰოდა, სამდივნომ იმსჯელა, იმსჯელა და დაადგინა, რომ მელელაშვილს და იალუზს... ახლიდან უნდა ეჭიდავათ! ეგეთი რამე, აკი გითხარით, ჭიდაობის ვერცერთმა სპეციალისტმა (უცხოელები მყავს მხედველობაში) ვერ გაიხსენა.

ასე იყო თუ ისე, ერთ საათში მელელაშვილი კვლავ იალუზის წინაღმდეგ დადგა. აქ კი გაბრაზდა ჩვენი ტარზანა, ისევ მოგვერდიდან მეორე წუთზე ფრანგი ძირს დაახეთქა და სანამ ბეჭებით მთელი ხალიჩა არ მოაწმენდინა, არ შეეშვა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მელელაშვილს 15 წუთში (!) რეპკასთან უნდა ეჭიდავა. ხელაღებით ვერავინ იტყვის, რომ ჩვენებური უნგრელს ნორმალურ სიტუაციაში უეჭველად მოუგებდა. ბოლოსდაბოლოს, ატილა რეპკა ვილაც ქარაქუცა კი არა, ოლიმპიური და ევროპის სამგზის ჩემპიონია. მაგრამ იმას ვინ გაზომავს, რამდენი ნერვები და ენერგია დაახარჯინეს ტყუილუბრალოდ ჩვენს ბიჭს, რომელიც გუშინ 20 წლისა გახდა? რეპკამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, ამიტომ თავიდანვე შეუტია და 10:0 მოიგო.

გუშინ მელელაშვილი ესტონელ ვალერი ნიკიტინს ეჭიდავა. გამარჯვებული მესამე ადგილისთვის მატჩში მიიღებდა მონაწილეობას. მე-20 წამზე ტარზანამ ურთულესი მდგომარეობიდან მოგვერდით სამი ქულა აიღო. შემდეგ კი მეტოქე ჩოქბჯენიდან გაექცა, რაც ერთ ქულად ფასობს. შეხვედრა მთავრდებოდა, როცა 40 წამით ადრე ნიკიტინმა ბრუნი გააკეთა, თუმცა ბრმაც დაინახავდა, რომ ილეთის შესრულებისას ფეხი იხმარა, რაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სასტიკად იკრძალება. ასე იყო თუ ისე, ესტონელმა 4:3 მოიგო. ტარზანა კი მე-6 ადგილზე დარჩა, თუმცა ოლიმპიური ლიცენზია მაინც მიიღო.

82 კგ. მუხრან ვახტანგაძეს პირველ წრეში ძალიან ძლიერი მეტოქე შეხვდა: ჩვენთან გაზრდილი ქართველი ებრაელი, ამჟამად ისრაელელი გოჩა ციციაშვილი. იგი მსოფლიოს მეორე პრიზიორია, ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი და, თან, ვახტანგაძის ძმაკაცი. სხვათა შორის, შეხვედრის წინა საღამოს, ძილის წინ ვახტანგაძე და ციციაშვილი პარკზე სასეირნოდ ერთად წავიდნენ...

მაგრამ ხალიჩამ ძმაკაცობა ხომ არ იცის. მუხრანი პასიურობდა, ამიტომ ორჯერ გაფრთხილეს და გოჩამაც ორივეჯერ ჩოქბჯენიდან დაატრიალა. დამატებით დროში მეტოქეებმა ქულები გაცვალეს და ციციაშვილმა 3:1 მოიგო.

მეორე წრეში ვახტანგაძემ კონტრილეთზე სცადა ჩეხი პაველ ფრინტას გამოჭერა, მაგრამ ილეთის დასრულების შემდეგ ზემოდან მეტოქე აღმოჩნდა. ჩეხმა ქულა ჩაიწერა და მოიგო, ხოლო მუხრანმა ასპარეზობა 23-ე ადგილზე (ამ წონაში 31 კაცი ჭიდაობდა) დაასრულა.

100 კგ. ბაკურ გოგიტიძეს ახალი ნაოპერაციევი აქვს ფეხი, არც ტრავმა მოშუშებია ბოლომდე და საჭიდაო პრაქტიკაც აკლია. ამიტომაც მან ევროპის ჩემპიონატზე მიზნად ლიცენზიისთვის ბრძოლა დაისახა და არა მედლისათვის.

იუგოსლავიელი პაიო ივოშევიჩი სხვა სიტუაციაში დიდი ვერაფერი მეტოქე იქნებოდა ბაკასათვის, მაგრამ ზემოთთქმული მიზეზები ერთმანეთს დაემატა და მესამე წუთზე სერბმა სამქულიანი გდება გააკეთა. ამით ივოშევიჩმა ქულათა დიდი მარაგი შეიქმნა, რომელიც ბოლომდე შეინარჩუნა.

გოგიტიძეს რომ მოეგო, მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს შვედ მიქაელ ლუნბერგს ხვდებოდა. მაგრამ არც წაგების შემთხვევაში შეხვდა ნუგბარი — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი უნგრელი მიკლოშ ნემეტი. მასპინძელმა სამი ქულა აიღო. მერე ბაკა გამოფხიზლდა, უკნიდან აქაჩა მეტოქე, პარტერში ამოატრიალა და იმისთანა ძალით დაახეთქა, რომ მისმა ღრიალმა დარბაზი შეძრა. ნემეტს ხელი მოტყდა, ხოლო გოგიტიძე შემდეგ წრეში გავიდა.

გერმანელი ანდრეას შტაინბახი ბოლო წუთამდე 4:2 უგებდა ბაკას — მან და ჩვენებურმა ერთნაირი ილეთები გააკეთეს, ოღონდ გერმანელმა უფრო სწრაფად და სუფთად. შტაინბახმა ფანდის გაკეთება გადაწყვიტა, მაგრამ გოგიტიძემ იაზრა, ტანზე შემოეხვია და იქით დასცა. ბაკას მისი ბეჭებზე დაწვენაც შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა, თუმცა 5:4 მაინც მოიგო.

შვეიცარიელ ურს ბიურგლერთან მეტად მხიარული შეხვედრა გამოუვიდა. ჯამში ამდენი ქულა ჩემპიონატზე არცერთ მატჩში არ გაკეთებულა. გოგიტიძემ კისრულით ძირს გაგორა ბიურგლერი. მერე უკნიდან აიყვანა. ეს მოხდა საწყის 30 წამში (!), ამის შემდეგ მოჭიდავეები ცოტათი დაცხრნენ, თუმცა ბაკამ ერთი კისრული მაინც მიითვალა და შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ქულების გაცემა-მიღება გაგრძელდა და, საბოლოოდ 13:9.

28 მარტის დილას იტალიელ ჯუზეპე ჯუნტასთან შეხვედრისას გოგიტიძეს ლიცენზია უკვე ჰქონდა. ამ შეხვედრაში ქულა არ გაკეთებულა. დამატებით დროში არასწორი ჩავლებისთვის ბაკა გააფრთხილეს, ხოლო ჯუნტას ქულა მისცეს. გოგიტიძემ ჩემპიონატი მე-6 ადგილზე დაასრულა და ლიცენზია მოიპოვა.

**მერაბ რატიშვილი**

*ბუდაპეშტიდან*



### ქეცბაიას და ჯამარაულის გოლებით საქართველომ

# ლიმასოლში 2:0

## მოუგო კვიპროსის ნაკრებს

ეროვნული ნაკრები ლიმასოლში 24 მარტს, შუადღისას ჩაფრინდა. მასპინძლებმა ჩვენები ქალაქგარეთ სასტუმრო „ელიასში" დააბინავეს და ნორმალური მომზადების ყველა პირობა შეუქმნეს. თამაშამდე ნაკრებმა ოთხჯერ ივარჯიშა: 24-ში, 25-ში ორჯერ და 26-ში. მატჩის მერე ქართული დელეგაცია აეროპორტისკენ გაეშურა და თბილისისაკენ გამოფრინდა.

კვიპროსის ნაკრებთან შეხვედრის ანგარიში მკითხველს უკვე ეცოდინება. ჩვენებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 2:0. შეხვედრაში არ მონაწილეობდნენ გიორგი ქინქლაძე, გოჩა გოგრიჭიანი და სოსო გრიშიკაშვილი.

**გია ნემსაძე:** პირველი ტაიმი თანაბარი ბრძოლით დაიწყო. სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან გაგვიჭირდა, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე უპირატესობასაც დავეუფლეთ და 3-4 საგოლე მომენტი შევქმენით. თუმცაკი ვერ ვიხეირეთ. კვიპროსელები, ფაქტიურად, ჩვენ თამაშს უყურებდნენ.

**კახა კალაძე:** ყაველაშვილს გოლი რომ გაეტანა, მასპინძლებს უკვე პირველ ტაიმში მოვუღებდით ბოლოს. კვიპროსელებს ყველანაირად ვჯობეთ — ტექნიკურად, ფიზიკურად, მოკლედ ყველანაირად.

**გია ნემსაძე:** მეორე ტაიმში კვიპროსელები მოტყდნენ, და გამოცდილებით, კლასით, და რაც ყველაზე მეტად გამიხარდა, ფიზიკურად ვჯობეთ. უფრო თავისუფლადაც ავთამაშდით. ყველამ ბრწყინვალედ ითამაშა. მიზეზიც გვქონდა: ერთად კარგა ხანია აღარ შევკრებილვართ, ნაკრებში თამაშიც მოგვწყურდა და საუკეთესოდაც ვითამაშეთ. მოგებას, ბუნებრივია, ველოდით, მაგრამ გვეგონა, უფრო რთული თამაში იქნებოდა. ისე ვეთამაშებოდით, როგორც 16 წლის ბავშვებს. უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება, მაგრამ მარტო მე ორი ნაღდი გოლი ვერ გავიტანე. პირველი მომენტი 1:0-ზე მქონდა. ბურთი ერთი შეხებით ყაველაშვილს გადავაწოდე. მიშა ზურგით შემობრუნდა და მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდა, საჯარიმოში მე და შოთა ვიდექით. შოთამ ბურთი გაატარა და მე მივილე — მეკარისგან ორ მეტრში დავრჩი, მაგრამ შიგ შუბლში არ გავარტყი?! მეორედაც ანალოგიური ვითარება იყო — თამაშის ბოლოსწინა წუთზე — ბურთი რომ მივილე, გავიფიქრე ბადეს გავხევ-თქო და ჭყვინტით დავარტყი — ისიც გავაფუჭე.

სხვათაშორის, კალაძემ და მაჭავარიანმა მცირე ხანს, მაგრამ ძალზე კარგად ითამაშეს. გულიანად და მშვიდად გაისარჯნენ და უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად დარჩებოდა, დებიუტანტები რომ იყვნენ. თქვენ ცხადაძის ამბავითაც დაინტერესდებით. მე მას ველაპარაკე და გავიგე, რომ კახი კვლავ აპირებს ინგლისში მოლაპარაკებაზე გამგზავრებას. კახას სანახავად ლიმასოლში ინგლისელები საგანგებოდ აპირებდნენ ჩამოსვლას. არ ვიცი იყვნენ თუ არა, მაგრამ იმ დღეს ცხადაძე რომ ენახათ, ყველაფერს იქვე გადაწყვეტდნენ — კახამ მშვენივრად ითამაშა.

ბოლოს გეტყვით, რომ კვიპროსთან შეხვედრამ ბევრი რამ ახლებურად დამანახა. დამთავრდა ის დრო, როცა საქართველოს ნაკრებს მომავლის გუნდს უწოდებდნენ. ახლა ჩვენ ნამდვილი, ძლიერი კაცების ნაკრები გვყავს. ეს არ არის გადაჭარბებით ან ემოციურად ნათქვამი სიტყვა. უკვე თამამად შეგვიძლია დიდ მიზნებზე ვიფიქროთ.

**კახა კალაძე:** მოედანზე გასვლისას ბიჭები მამხნევებდნენ, თანაც უკვე 2:0-ს ვიგებდით და ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე, თავისუფლად ვითამაშე. კვიპროსელები კარამდე არც მიგვიშვია. ჩვენი მცველები მშვენივრად თამაშობდნენ.

**მამუკა მაჭავარიანი:** საქართველოს ნაკრებმა კვიპროსელებს გააზრებული, ლაღი, ლამაზი და ტექნიკური ფეხბურთი აჩვენა და წარმატების შანსიც არ დაუტოვა.

მე თამაშის დასასრულს შევედი მოედანზე — ღუდუშაური შევცვალე. გოგიჩაიშვილის ადგილი დავიკავე მარცხენა ფლანგზე, კახი კი მარჯვენა ფლანგზე გადავიდა. საერთოდ, მეორე ტაიმში ჩივაძემ ტაქტიკაში ცვლილებები შეიტანა. ყაველაშვილის ნაცვლად შემოსული კალაძე ცენტრალურ მცველად დააყენა, კუდინოვი — მაღლა აწია, ცხადაძე კი ლიბეროდ დარჩა. საერთოდ 3-5-2 ტაქტიკით ვითამაშეთ. პირველ ტაიმში კუდინოვი უკანა მცველი იყო, ცხადაძე და შელია კაცზე თამაშობდნენ. ნახევარდაცვაში მარჯვნივ ღუდუშაური იყო, მარცხნივ — გოგიჩაიშვილი, საყრდენი — ნემსაძე. გამთამაშებლად ორი კაცი გვყავდა — ქეცბაია და ჯამარაული, ისევე, როგორც თავდამხხმელები — შოთა და ყაველაშვილი.

გოლები საჩვენებელი სილამაზის გავიტანეთ. ყაველაშვილი მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და ჩააწოდა, ბურთს მაღალ ნახტომში ქეცბაია შეწვდა და ულამაზესი თაური დარტყმით ანგარიში გახსნა. დაახლოებით ოც წუთში კი ჯამარაულმა იყოჩაღა — მისი დარტყმული „ცხრიანში" ჩაეშვა.

**ირაკლი ზოიძე:** კვიპროსელებს ჩემამდე არც მოუღწევიათ, მცველები საიმედოდ აზღვევდნენ ერთმანეთს, კაცის აყვანაზეც კარგად მოქმედებდნენ. მოკლედ, გვარიანად დავისვენე. ჩვენები კარგად ბურთაობდნენ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა კვიპროსელებს ბურთი დაუმალეს.

...როგორც გითხარით, შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ ქინქლაძეს, გოგრიჭიანსა და გრიშიკაშვილს. დიღმის ბაზაზე კოჭლობით შემოსული სოსო გრიშიკაშვილი დავინახე, არადა, კვიპროსში გამგზავრებამდე სრულიად ჯანმრთელი იყო. სამწუხაროდ, მასაც ფეხი უტკენია: „პირველივე ვარჯიშზე ფეხი გადამიბრუნდა და როგორც ექიმმა მითხრა, ქუსლთან ძვალი გამტეხია. კიდევ კარგი, სერიოზული ტრავმა არ აღმოჩნდა: მკურნალობას მხოლოდ ორი კვირა დასჭირდება".

საქართველოს ნაკრებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ზოიძე, ღუდუშაური (მაჭავარიანი), ცხადაძე, შელია, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ყაველაშვილი (კალაძე), შოთა არველაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი
### XVIII ტური

#### იბერია 2:1 დილა

იბერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ი. ბუხრიკიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ვ. ბუხრიკიძე (ვეშაპიძე 84), ჩიბაშვილი, ტყემალაძე (ზირაქაძე 60), კაციაშვილი, გლუნჩაძე (ლომიძე 54)

დილა: სოლოლაშვილი, ხ. გაგნიძე, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი (ფეზუაშვილი 89), წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, რევაზიშვილი

1:0 ლურსმანაშვილი (83), 2:0 კაციაშვილი (86 პ) 2:1 მარლიშვილი (89 პ)

გაფრთხილება: რევაზიშვილი

მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

#### სიონი 0:1 ბათუმი

სიონი: დალაქიშვილი, მეტრეველი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მეფარიშვილი, გაბრიჭიძე, გოგოლაძე, ტორომელიძე, მოსეშვილი (ბურდული 75), ჯაფარიძე, ანდღულაძე

დინამო: ტოგონიძე, შანიძე, ღლონტი, მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე (დ. მახარაძე 85), მინდაძე

0:1 მუჯირი (83 პ)

გაფრთხილება: გოგოლაძე

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

#### გურია 2:0 ტორპედო

გურია: აბაშიძე, ღურწკაია, ცერცვაძე, კუკულაძე, ყოლბაია, ებრალიძე (ლორია 83), ნარიაშვილი (ჩიგოგიძე 61), განევი, ქიქავა, ბახტაძე, მარგიანი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე (იობიძე 25), თურმანიძე, სადილიანი, გიორგობიანი, ჯინჭარაძე, ჩხეტიანი, მეგრელაძე, შენგელია, ვაჩიბერაძე

1:0 ნარიაშვილი (49) 2:0 მარგიანი (65)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

#### დურუჯი 0:1 ზუგდიდი

დურუჯი: პაქსაშვილი, ვარადაშვილი, ბოჭორიშვილი, ცინცაძე (დავითაშვილი 81), მოსიაშვილი, ყანჩაშვილი, ქარენაშვილი, კუპრაშვილი (კობიაშვილი 79), დარჩიაშვილი (ჯიქურაული 66), ყიზალაშვილი, წიწრიაშვილი

ზუგდიდი: ნაყოფია, ახვლედიანი, ერქვანია, ჯაბუა, ჯავაშვილი, აინიდი, კვარაცხელია, კუტალია, გაბედავა, გუგუჩია, აფაქიძე

0:1 აფაქიძე (56 პ)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

#### ეგრისი 2:4 სამტრედია

ეგრისი: ბულია (მიქაძე 67), ჯლარკავა, ნაჭყებია, ბენდელიანი, ახალაია, ნოდია, ფიფია, წულაია, თორია (ვახანია 47), თვარაძე, მიქავა

სამტრედია: ჭანტურია, ხვადაგიანი, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, ჩომახიძე, გოგიაშვილი, ხუჭუა (რუხაძე 76), გვასალია, დარასელია, ჩხაიძე

1:0 წულაია (32) 1:1 დარასელია (57) 2:1 ჯლარკავა (61) 2:2 დარასელია (72) 2:3 ჩომახიძე (75) 2:4 გვასალია (88)

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

## მოშუშებულები ბრუნდებიან

მიმდინარე სეზონში თბილისის „დინამო“ ფეხბურთელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის და თუმცა ტრავმებიც ხშირი იყო, გამოჯანმრთელებულები უკვე ვარჯიშს იწყებენ. აპრილის თვეში ქვეყნის ჩემპიონი კიდევ ორი, გუნდისთვის მეტად საჭირო ფეხბურთელებით გაძლიერდება — ესენი გელა ინალიშვილი და ლევან ცქიტიშვილი არიან. მოგეხსენებათ, გელას ამ ბოლო დროს ფეხბურთელებს შემოჩვეული სიყვითლის გამო კარგა გვარიანი გაუცდა, ხოლო ლევანს მენისკი დაემართა და საოპერაციო გახდა.

ორივე ფეხბურთელი მოშუშდა და ამჟამად დილმის ბაზაზე ინდივიდუალურად ემზადებიან. გუნდის ექიმის ზაქრო თელიას თქმით, მათი მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია და ალბათ ათიოდ დღეში მთელი დატვირთვით შეუდგებიან ვარჯიშს.

## ახალგაზრდულმა არ ითამაშა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვაცნობეს: 27 მარტს აზერბაიჯანის ქალაქ თაუზში ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან დანიშნული შეხვედრა ერთი უბრალო მიზეზით არ გამართულა — ჩვენს მეზობლებს ნაკრების წევრები ვერ შეუგროვებიათ და თამაშიც დაუდგენელი ვადით გადაიდო.



## გადადის ცხადაძე «ლიდსში»?

ჯერ დანამდვილებით ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. როგორც ამას წინათ გაუწყეთ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ლიდსში იმყოფებოდა, მაგრამ მცირე ტრავმისა და ცუდი ამინდის გამო მისი ხეირიანად საქმეში ნახვა მაშინ არ მოხერხდა და კახი გერმანიაში დაბრუნდა. ერთი კვირის წინ რუსეთის საფეხბურთო გადაცემა „ფუტბოლნი კლუბის“ ერთ-ერთი მაყურებლის შეკითხვაზე — გადავიდოდა თუ არა კახი ცხადაძე „ლიდს იუნაიტედში“, წამყვანმა უარყოფითი პასუხი გასცა, თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კახის თამაშის სანახავად კვიპროსისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრაზე ლიმასოლში „ლიდსის“ წარმომადგენლები საგანგებოდ აპირებდნენ ჩასვლას. მის გარდა, როგორც შევიტყვეთ, ბრიტანელებს კიდევ მრავალი ქართველი ფეხბურთელი ამოუღიათ სამიზნეში.

## იმერიამ ამოისუნთქა

სეზონის დასაწყისში „იმერია“ მთავარმა მწვრთნელმა და წამყვანმა მოთამაშეებმა დასტოვეს. გარდა ამისა, ხაშურელებს ფინანსური პრობლემებიც არ აძლევდა გასაქანს. მას შემდგომ, როგორც გუნდის უფროსმა და პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა თემურ კობერიძემ გვითხრა, ვითარება უკეთესობისაკენ შეიცვალა.

— ახლა რაიონის ბიუჯეტში ჩაგვსვეს და ფეხბურთელებიც შეუფერხებლად იღებენ ხელფასებსა და პრემიებს.

**— ძველი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილიც ამასვე ითხოვდა. შეიძლებოდა ეს პრობლემა მანამდე მოგვარებულიყო?**

— იმ დროს შეპირებული თანხა ვერ გავეცით. რაიონის ხელმძღვანელობა მხოლოდ მერე ამოგვიდგა მხარში.

**— ახალ ფეხბურთელებზე რას გვეტყვით?**

— მხოლოდ კარგს. მათ გაამართლეს ჩვენი იმედები. გუნდი უფრო გაახალგაზრდავდა, ბიჭები დიდი მონდომებით ვარჯიშობენ. არადა, მზადებას თავის დროზე რომ შევდგომოდით, პირველ სამ ტურში უკეთეს შედეგებს ვაჩვენებდით.

**— მალხაზ ლაცაბიძე როგორ შეეგუა მთავარ მწვრთნელობას?**

— მშვენივრად. ძალზე მომთხოვნია, საქმესაც კარგად უძღვება. ლაცაბიძე-მოთამაშე ისე განსხვავდება ლაცაბიძე-მწვრთნელისაგან, როგორც ცა და დედამიწა: მოედანზე, ვიცით, როგორი ფეთქებადი იყო, ცხოვრებაში კი მასზე ზრდილობიანი ადამიანი იშვიათად შემხვედრია.

**— როგორ ფიქრობთ, წელს I ჯგუფში ადგილს შეინარჩუნებთ?**

— მგონია, რომ შევინარჩუნებთ. მე საერთოდ გუნდის გაახალგაზრდავების და ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტების მომხრე ვარ. ჩამოსულს უფრო მეტი უნდა გადაუხადო, აქაური კი ნაკლებად პრეტენზიულია და ხელფას-პრემიაზეც თამაშობს. მთავარი პრინციპი ის გახლავთ, რომ სამომავლოდ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება ადგილობრივებზე დაყრდნობით უფრო შეიძლება. ამით ხაშურელ ბავშვებსაც მეტ სტიმულს მივცემთ.

ზვიად დანელია

# გვარამაძე კორეაში მიდის

მარტის დასაწყისში — საქართველოს პირველობა ჯერ კიდევ არ იყო განახლებული — ეროვნულ სტადიონზე ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დათო გვარამაძე ვნახე. მაშინ უკვე ვიცოდი, რომ „იბერიიდან“ წამოსული, პოლიციის აკადემიის განაცხადში ვერ შეიყვანეს. შეიძლება მალე კორეაში წავიდე სათამაშოდ — მითხრა დათომ. მალე ჩემპიონატიც განახლდა და, მოულოდნელად, „კოშკამ“ კვლავ „იბერიაში“ ითამაშა.

— კორეაში გამგზავრება ძალიან გაიწელა, — ამბობს დათო — აკადემიის განაცხადშიც ვერ შემიყვანეს. ჰაერში გამოკიდებას ისევ „იბერიაში“ დარჩენა ვამჯობინე.

**— სეზონის დაწყების წინ ჯანელიძემ მიგიწვია „შევარდენში“. შენ რატომღაც ხაშურში თამაში არჩიე. რატომ დატოვე თბილისი?**

— უბრალოდ, „იბერიაში“ თამაშის გარანტიას მაძლევდნენ, „შევარდენში“ კი ასეთი გარანტიები არ მქონდა.

**— შენ თავში არ იყავი დარწმუნებული? რაც უნდა იყოს, ახალგაზრდული ნაკრების მეკარე ხარ და კონკურენციის არ უნდა შეგშინებოდა...**

— არა, კონკურენციას არ შევუშინებივარ. უბრალოდ, ვიცოდი, რომ ხაშურში ჩემი ძალების სრული რწმენით ვითამაშებდი. ასეც არის.

**— „დინამოდან“ წასვლის შემდეგ ძლიერ გუნდში აღარ გითამაშია. ნუთუ არავინ გთავაზობდა სადმე გადასვლას?**

— მიწვევები არ იყო და რომც ყოფილიყო, „დინამო“ მის კონკურენტ გუნდში სათამაშოდ არ გამიშვებდა. ამიტომ ათხოვეს ჩემი თავი ხაშურს. მე „დინამოსთან“ მაქვს კონტრაქტი გაფორმებული და მისი თანხმობის გარეშე ვერსად გადავალ, თუმცა კონტრაქტი უკვე დამიმთავრდა. კორეაში გამგზავრების საქმესაც „დინამო“, კერძოდ, ვაჟა ჟვანია აგვარებს. იქ ნიკუშა ყიფიანი, ჯუბა ჩუხუა და მე მივდივართ. მაგრამ სად, რომელ გუნდში, ჯერ ჩვენთვის ცნობილი არ არის. თავიდან გაგვსინჯავენ და, თუ მოვეწონებით, დავრჩებით კიდეც.

**— ვთქვათ და ჩვენი ჩემპიონატის რომელიმე ლიდერმა კარგი პირობები შემოგთავაზა, მაინც კორეას ამჯობინებ?**

— ყველა ქართველი ფეხბურთელი უცხოეთში გამგზავრებაზე რომ ფიქრობს, ეს არავისთვის არ არის უცნობი ამბავი. არც მე ვარ გამონაკლისი. მართალია, კორეა იტალია არ არის, მაგრამ, დასაწყისისთვის ამასაც არა უშავს. მათი ჩემპიონატი დაბალი დონისა არ უნდა იყოს, შეძლებული ქვეყანაც არის და, ვფიქრობ, იქ წასვლა ინტერესმოკლებული არ იქნება.

**— კორეაში წასვლის გამო ნაკრების ხელმძღვანელობის ყურადღების მიღმა რომ დარჩე?**

— მაგაზე ცოტა არ მიფიქრია, მაგრამ, კარგად თუ ვითამაშებ, ეს არ მოხდება. ჩემს შესახებ აუცილებლად შეიტყობენ. ისე მინდა მოვემზადო, რომ ნაკრებიდან ჩემი წასვლის საკითხი არ დადგეს.

**— ამის შესახებ ნაკრების ხელმძღვანელებთან თუ გქონდა საუბარი?**

— რა თქმა უნდა, კერძოდ, გუცაევთან. ეგაა, რომ აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაშის შემდეგ მინდოდა გამგზავრება.

**— ჰეიშვილის ნაკრებში სამი თამაში ჩაატარე. ჩვენი გუნდი სამჯერვე დამარცხდა. ნუთუ მართლა ისეთი სუსტი იყო, ჯგუფში ბოლო ადგილზე გასვლას რომ იმსახურებდა?**

— ბოლო ადგილი ნამდვილად არ შეგვეფერებოდა, ეს გამოუცდელობისა და ჩვენი პირველობის დაბალი დონის ბრალია. ამ მიზეზების გამო ჩვენთვის ძნელი იყო მაღალ დონეზე თამაში.

**— როგორც ვიცი, ხაშურში მხოლოდ სათამაშოდ მიდიხარ, ვარჯიშით კი დილმის ბაზაზე ვარჯიშობ. ეს ხელს ხომ არ გიშლის?**

— არა, პირიქით. ხაშურში სავარჯიშო პირობები არ არის. თბილისში კი ჩემი ბავშვობის მწვრთნელი იური სტადუხინი მავარჯიშებს. თანაც, ხაშურში წასვლამდე



„იბერიის“ ხელმძღვანელობაც გავაფრთხილე, რომ თბილისში ვივარჯიშებდი. ჯერჯერობით, რამდენადაც ვიცი, ჩემით უკმაყოფილონი არ არიან. იციან, რეჟიმს რომ არ დავარღვევ და უვარჯიშებელი არ ჩავალ. ამიტომაც მენდობიან.

**— წელან ბავშვობის მწვრთნელი ახსენე. თქვენ „დინამოში“ თითქმის ერთდროულად მიგიწვიეს...**

— იური რომ გავიცანი, „ავაზაში“ ვთამაშობდი. იგი იქვე, დღლომში ცხოვრობს და სამსახურის შემდეგ ყოველთვის მავარჯიშებდა ხოლმე. მაშინ არც მიფიქრია ჩემი მწვრთნელი თუ გახდებოდა. მაგრამ გავიდა დრო, ჩვენ ერთმანეთს დავუახლოვდით და ახლა ვერც კი წარმომიდგენია სხვა მწვრთნელი ჩემს გვერდით. შეილივით ვუყვარვარ. მუდამ ჩემს ქებაშია, ამბობს, გვარამაძე ყველაზე ძლიერი მეკარეაო. მის აზრს არ ვიზიარებ, ძლიერად ნამდვილად არ ვთამაშობ, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ როდესმე პირველ ნაკრებშიც მათამაშებენ. ეს როდის იქნება, ამის განსაზღვრა არ შემიძლია, ჯერჯერობით ის ვიცი, რომ ეს ჩემი დიდი ოცნებაა. ამიტომ ჩემს თავზე ვმუშაობ, თითოეულ შეცდომას ვაანალიზებ. ზოგჯერ ღამეებიც გამითენებია გაშვებული გოლის შემდეგ. ერთს ვიტყვი — გამოუცდელობა რომ არა, უკეთესად ვითამაშებდი. სამი წელი ხომ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. ამან კვალი დამამჩნია. თამაში, ფაქტიურად, მხოლოდ ერთი წლის წინ დავიწყე „კახეთში“. და ახლაა, „იბერიაში“ რომ ვთამაშობ. თუმცა, არც მიკვირს: „დინამოში“, 15 წლის ბიჭს აბა, ვინ მანდობდა კარს? 18 წლის ასაკში კი მეკარემ სათადარიგოთა სკამზე აღარ უნდა იფიქროს. სხვაგვარად, ერთ ადგილზე გაიყინება. მეც, თავს ვუშველე და „კახეთში“ გადავედი.

**— როგორ ფიქრობ, შენთვის „იბერიაში“ არ სჯობს? იქ ხომ უფრო მეტად ხარ თამაშში ჩართული. „დინამოში“ ამდენი სამუშაო არ გექნებოდა...**

— ერთ-ერთი მიზეზი იმისა, „იბერია“ „შევარდენს“ რომ ვარჩიე, ესეც იყო. ხაშურის გუნდში ჩატარებული ყოველი შეხვედრა ჩემთვის საოცრად დამღლელი და ქანცგამწყვეტია, ახლა მით უმეტეს — ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა და ხშირად მიწევს ბრძოლაში ჩაბმა. „დინამოდან“ ამიტომ წავედი. სეზონის დაწყებამდე ყიფიანმა მეორე მეკარედ ჭანტურია მიიწვია და მე მეორე გუნდში თამაში შემომთავაზე. მოგეხსენებათ პირველი ჯგუფის თამაშები რა ბედენაა — მეორეში რაღა იქნებოდა? მე ასეთი პერსპექტივა სულაც არ მხიბლავდა, გაცილებით მერჩია „დინამოს“, „სამტრედიას“, „მარგვეთის“ და „ბათუმის“ წინააღმდეგ მეთამაშა. ეს უფრო მეტს შემმატებს.

მერაბ მამულაშვილი

## სენსაციები მეორე ჯგუფში

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში მორიგი ტურის თამაშები ჩატარდა. აღმოსავლეთ ზონაში სენსაციური ანგარიშები დაფიქსირდა: გათამაშების ლიდერმა „მერანი 91“-მა ახალციხეში ადგილობრივ „მესხეთთან“ გაუთვალისწინებელი ორი ქულა დაკარგა — თამაში ფრედ 0:0 დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ „მერანის“ ხელმძღვანელობას დიდი პრობლემა აქვს — გუნდის ექვსი მცველიდან ამჟამად ექვსივე ტრავმირებულია. ამიტომ მწვრთნელი სერგო გაბელაია იძულებულია ნახევარმცველები დააყენოს უკანა ხაზზე, რაც მერანელთა შეტევებს სიმძაფრეს აკლებს. შედეგიც ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. ლიდერის მდევარმა პოლიციელთა „აკადემიამაც“ ვერ ივარგა და „მრეტებთან“ თამაშში ანგარიში ვერაფრით გახსნა. ფავორიტთაგან მხოლოდ „დინამო 2“-მა მოიგო, რომელმაც მდევარი „აზოტი“ 2:0 დაამარცხა. გამარჯვებები მოიპოვა პირველი ჯგუფის საგზურის კიდევ ორმა მაძიებელმა — „მორკინალმა“ და „ჭაბუკიანმა“. მოკლედ, მიითადი ბრძოლები პირველი ადგილისთვის აღმოსავლეთ დივიზიონში ჯერ კიდევ წინ გველის.

დასავლეთ დივიზიონში პირველი ჯგუფის საგზურისთვის ერთბაშად ოთხი გუნდი — „ანჯელი“, „სამგურალი“, „შუქურა“ და „მაღაროელი“ იბრძვის. გათამაშების ოთხივე ლიდერმა გამარჯვებები მოიპოვა, ამათგან აბაშელმა და ქობულეთელმა ფეხბურთელებმა გასვლით მატჩებში იმარჯვეს.

რაც შეეხება ორივე დივიზიონის მაჩანჩალებს — ბორჯომის „თორს“, ახალციხის „მესხეთს“, ხარაგაულის „ჩხერიმელას“ და ჩოხატაურის „ბახმაროს“, მათი სამეორეჯგუფო მოღვაწეობა, ფაქტიურად, დამთავრებულია, თუმცა ახალციხელთა სიჯიუტე იმედს იძლევა, რომ დარჩენილ თამაშებში ქულების დარიგება იშვიათი იქნება.

აღმოსავლეთი
24-25 მარტი

მესხეთი — მერანი 91 0:0
ჭაბუკიანი — ყინერი 4:0
იბერია — ალგეთი 3:1
მრეტები — აკადემია 0:0
თორი — უნივერსიტეტი 0:2
შირაქი — კოდაკი 1:1
ასკ — ენერგეტიკოსი 2:1
მორკინალი — ცხინვალი 2:1
აზოტი — დინამო 2 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი 91 | 20 | 14 | 3 | 3 | 55-11 | 45 |
| შსს აკადემია | 20 | 14 | 2 | 4 | 34-20 | 44 |
| დინამო 2 | 20 | 13 | 3 | 4 | 44-14 | 42 |
| მორკინალი | 20 | 11 | 5 | 4 | 31-16 | 38 |
| აზოტი | 20 | 10 | 6 | 4 | 35-17 | 36 |
| ჭაბუკიანი | 20 | 11 | 2 | 7 | 51-34 | 35 |
| არმაზი | 19 | 9 | 7 | 3 | 24-11 | 34 |
| უნივერსიტეტი | 19 | 9 | 3 | 7 | 28-24 | 30 |
| ასკ | 20 | 8 | 4 | 8 | 25-26 | 28 |
| ალგეთი | 20 | 8 | 4 | 8 | 26-30 | 28 |
| იბერია | 20 | 9 | 0 | 11 | 26-30 | 27 |
| ენერგეტიკოსი | 19 | 8 | 3 | 8 | 28-27 | 27 |
| შირაქი | 19 | 5 | 5 | 9 | 18-37 | 20 |
| მრეტები | 20 | 5 | 5 | 10 | 18-25 | 20 |
| ყინერი | 20 | 5 | 3 | 12 | 19-47 | 18 |
| ცხინვალი | 20 | 4 | 6 | 10 | 17-23 | 18 |
| კოდაკო | 20 | 4 | 6 | 10 | 24-43 | 18 |
| თორი | 20 | 2 | 4 | 14 | 16-42 | 10 |
| მესხეთი | 20 | 2 | 3 | 15 | 15-57 | 9 |

დასავლეთი
24-25 მარტი

ბახმარო — რწმენა 1:3
სამგურალი — საპოვნელა 8:0
მერცხალი — მარგვეთი 2 3:1
იაგუარი — მამისონი 3:1
სულორი — შუქურა 1:2
მაღაროელი — დინამო 2 3:1
სქური — ჩხერიმელა 1:0
მეშახტე — ანჯელი 0:1
სამეგრელო — კოლხეთი 2 2:0
იმერეთი — ჩიხურა 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანჯელი | 21 | 19 | 0 | 2 | 58-14 | 57 |
| სამგურალი | 21 | 18 | 2 | 1 | 65-17 | 56 |
| შუქურა | 21 | 17 | 3 | 1 | 72-19 | 54 |
| მაღაროელი | 21 | 17 | 1 | 3 | 50-20 | 52 |
| იაგუარი | 21 | 15 | 0 | 6 | 44-27 | 45 |
| სულორი | 21 | 13 | 1 | 7 | 42-28 | 40 |
| მერცხალი | 21 | 9 | 7 | 5 | 28-19 | 34 |
| იმერეთი | 21 | 9 | 3 | 9 | 33-29 | 30 |
| მამისონი | 21 | 9 | 2 | 10 | 36-38 | 29 |
| რწმენა | 21 | 9 | 2 | 10 | 36-31 | 29 |
| სამეგრელო | 21 | 7 | 4 | 10 | 36-45 | 25 |
| კოლხეთი 2 | 21 | 7 | 4 | 10 | 26-27 | 25 |
| საპოვნელა | 21 | 7 | 4 | 10 | 27-49 | 25 |
| დინამო 2 | 21 | 5 | 7 | 9 | 35-39 | 22 |
| სქური | 21 | 6 | 2 | 13 | 27-43 | 20 |
| მარგვეთი | 21 | 6 | 1 | 14 | 25-46 | 19 |
| მეშახტე | 21 | 5 | 3 | 13 | 32-38 | 18 |
| ჩიხურა | 21 | 4 | 3 | 14 | 28-60 | 15 |
| ჩხერიმელა | 21 | 2 | 1 | 18 | 30-26 | 7 |
| ბახმარო | 21 | 0 | 2 | 19 | 20-75 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევან ხომერიკი — ფეხბურთელი, რომელიც ოპერაში დადის

ლევან ხომერიკის „დინამოში" გადმოსვლას ყველა მის ალმასვლად მიიჩნევდა. ნიჭიერ ბათუმელ თავდამსხმელს უკეთეს გუნდსა და პირობებში დაოსტატებისა და თავი გამოჩენის საშუალება ეძლეოდა. მაგრამ მიილია პირველი წრე და ხომერიკმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. მართალია, ხშირად თამაშობს, ზოგჯერ გოლებიც გააქვს, მაგრამ მისგან მაინც გაცილებით მეტს მოელოდნენ. თუ რატომ ვერ გაამართლა მოლოდინი, ლევანი ამას ასე ხსნის:

— „დინამოში" გადმოსვლისთანავე ყველაფერი კარგად ამეწყო. ჩემპიონატის წინ გამართულ საკონტროლო შეხვედრებში ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი. მაგრამ შემდეგ ყველაფერი ამერია — ერთ-ერთ ვარჯიშზე კუნთი გამეჭიმა და ტრავმის მორჩენას საკმაოდ დიდი დრო — თითქმის ერთი თვე მოვანდომე. ამან ფორმიდან ამომაგდო. მოვმჯობინდი თუ არა, ორჯერ ვითამაშე — საკმაოდ წარმატებითაც, პირველივე შეხვედრაში „შევარდენს" გოლიც კი გავუტანე. მაგრამ, ხომ იცი, თუ ძალებს დაზოგავ, თავს ბოლომდე ვერ გამოავლენ. მეც ასე დამემართა — მოვხვდი სათადარიგოებში და დღემდე ძირითად შემადგენლობაში ვერ ვთამაშობ.

**— ბათუმში შეჩვეული იყავი ძირითადში თამაშს. თბილისში კი საკმაოდ დიდი კონკურენციის დაძლევა გიხდება. ამ ფაქტორმა შენზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედა?**

— რა თქმა უნდა, ბათუმში უფრო თავისუფლად ვთამაშობდი. მაგრამ, კონკურენცია არ ნიშნავს, რომ მოვეშვა და შევეგუო სათადარიგო შემადგენლობაში დარჩენას. პირიქით, ვარჯიშს მოვუმატე და ფიზიკურადაც უკეთ გამოვიყურები, კლასიც ავიმაღლე და ბევრიც ვისწავლე. მაგრამ მიზეზს, თუ რატომ არ მათამაშებენ, ვერ გეტყვით. ამაზე პასუხი რომ გაგცეთ, მაშინ ყიფიანი უნდა ვიყო და შემადგენლობასაც მე უნდა ვადგენდე.

**— ეროვნულ ჩემპიონატში სხვა გუნდებისგან განსხვავებით, „ბათუმი" სტაბილური შემადგენლობით ასპარეზობს. ფინანსურადაც არ უჭირს. და მაინც, ამის მიუხედავად, „დინამოს" კონკურენტად ვერ იქცა. ნუთუ, მართლა დიდი განსხვავებაა მათ შორის? შენ ამის შეფასება შეგიძლია, ორივე გუნდს კარგად იცნობ...**

— „დინამო" კლასით მაინც უფრო მაღლა დგას. იგი ყოველთვის ძლიერი გუნდი იყო და ასეთადვე დარჩება. პირობები, სახელი და მოთამაშეების არჩევანი უფრო მეტი აქვს, ვიდრე „ბათუმს" და არც მიკვირს „ბათუმი" კონკურენციას რომ ვერ უწევს. პირიქით რომ იყოს, ის უფრო გამიკვირდებოდა. გარდა ყველაფრისა, „ბათუმს" საკუთარი ბაზაც არ გააჩნია, არც უცხოური შეკრება ჩაუტარებიათ და არც ჩემპიონატისთვის ჩვენაირად არ მომზადებულან. აბა, როგორ უნდა შეეჭიდოს თბილისის „დინამოს"?

**— რა განსხვავებას ხედავ ბათუმელ და თბილისელ ხომერიკს შორის?**

— ბათუმში გუნდთან შეთამაშებული ვიყავი, სტაბილურადაც ვთამაშობდი. ეს უკვე ვთქვი, მაგრამ მაინც თბილისში წამოსვლა ვარჩიე. ფეხბურთელს ისეთი პროფესია აქვს, რომ მუდამ უკეთეს გუნდში გადასვლას უნდა ესწრაფოდეს.

**— „დინამოში" გადმოსვლისას არ გიფიქრია, რომ შეიძლებოდა ძირითადში ვერ მოხვედრილიყავი და ის გუნდიც დაგეკარგა, სადაც ეს გარანტირებული გქონდა? ასეთ შემთხვევაში ხომ სათამაშო პრაქტიკა მოგაკლდებოდა, რის გარეშეც ძნელია სასურველი დონის მიღწევა...**

— ხშირად მიფიქრია, მაგრამ შიში იმის გამო, რომ ვერ ვითამაშებდი, არ მქონია. შიში არა და, სურვილი და მონდომება კი არ მაკლდა და მსურდა დამემტკიცებინა, რომ თამაში თბილისშიც შემეძლო.

**შენგან გოლების გატანას ითხოვენ, მაგრამ ჯერჯერობით თავი არ გამოგიჩენია...**

— თითქმის ყოველთვის მეორე ტაიმში გამოვდივარ. ფეხბურთელისთვის კი ძნელია მეორე ტაიმში „გახსნა".

**— ამიტომ შენი თავის რწმენა ხომ არ დაგიკარგავს?**

— ჩემს შესაძლებლობებში ყოველთვის ვიქნები დარწმუნებული. სხვებსაც დავარწმუნებ, რომ რაღაცა შემიძლია.

**— თამაშისას გეტყობა, რომ ჯანი გაკლია...**

— მწვრთნელები და მეგობრები ადრე სულ ამ ნაკლზე — ფიზიკურ მოუმზადებლობაზე მიმითითებენ. „დინამოში" გადმოსვლის დღიდან კი ამ ხარვეზის აღმოფხვრას შევუდექი. თუ მოინდომებ, ნაკლს გამოსწორება ძნელი არ არის. ჩემი დაკვირვებით, ახლა უფრო კარგ ფორმაში ვარ, თითქმის ისეთში, მე რომ მსურს.

**— შეიძლება ვცდები, მაგრამ, თავდამსხმელისთვის დამახასიათებელი ეგოიზმი და აგრესიულობა შენში ვერ დავინახე...**

— ასეთი ნამდვილად არა ვარ. ისე ვთამაშობ, როგორც მეხერხება. თუმცა ვგრძნობ, რომ დიდი ფეხბურთის თამაში შემიძლია. ეს რომ არა, ფეხბურთს დიდი ხნის წინ დავანებებდი თავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ „დინამოში" თამაშები არ მიწევს და ფაქტიურად, ჩემი თავის გამოვლენის საშუალებაც არა მაქვს.

**— ამის გამო უკან, ბათუმში დაბრუნებაზე ხომ არ გიფიქრია?**

— არა, ამაზე ფიქრი ნაადრევია. მინდა, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო და დავამტკიცო, რომ „დინამოში" ტყუილად არ გადმოვსულვარ.

ბათუმში ერთი წლის მანძილზე ორი ოპერაცია გადავიტანე. ერთი წლის გაცდენა კი ფეხბურთელისთვის ძალიან დიდი დანაკლისია და მეც თავისი დაღი დამასვა. ის ერთი წელიწადი ჩემს თამაშზე ახლაც მოქმედებს.

**— ზღვისპირა ბათუმის შემდეგ თბილის როგორ შეეგუე?**

— სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან ძალიან გამიჭირდა, ყველა მეგობარი ბათუმში მყავს, ზღვაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე, სანაპიროზე გავდიოდი და ფსიქოლოგიურად ვიმუხტებოდი. ჩემი არჩევანი გარემოებებმა განაპირობა, მაგრამ არ ვნანობ: თბილისსაც აქვს თავის სილამაზე, აქაც შევიძინე მეგობრები, და ბედნიერად ვგრძნობ თავს. ყველაზე ადრე ჯამარას და სკილეტას დავუახლოვდი, უფრო სწორად, თვითონ გამოიჩინეს სითბო, გვერდში ამომიდგნენ და გუნდთან შეგუებაც გამიადვილეს.

ერთი ხანობა ბაზაზე ვცხოვრობდი და გავუძელი — ძალიან ძნელია ოჯახიდან შორს ყოფნა, მეუღლეც არ მყავს, რომ შემშველებოდა, ამიტომ, გადმოსვლიდან ოთხი თვის შემდეგ დიდუბეში ბინა ვიქირავე. ახლა ბათუმიდან დედაჩემი ჩამოვიდა და იმდენად აღარ მიჭირს.

და მაინც, ბათუმში რომ ჩავდივარ, მიძნელდება უკან დაბრუნება. ახლახანს სენაკში ვთამაშობდით. შინ ჩავედი და მეგობრები და ახლობლები მოვინახულე. ძალიანაც ვინანე — წამოსვლა აღარ მინდოდა. მათთან ყოფნით გული ვერ ვიჯერე.

**— ზღვის მონატრებას თბილისში რა გიყუჩებს?**

— ზღვა ჩემთვის ყველაფერია — მას ვერაფერი შეცვლის, თბილისში, ასეთი სილამაზის ქალაქშიც კი.

**— როგორც გავიგე, ლევან ხომერიკი ოპერის დიდი მოყვარული ყოფილა. ფეხბურთელისგან ძალიან გამიკვირდა ამგვარი გატაცება. რამდენ ფეხბურთელთანაც მისაუბრია, ოპერის სიყვარული არავისგან მსმენია — მომქანცველი ვარჯიშების შემდეგ რა ეოპერებათ.**

— რომ გითხრათ, ოპერაში სიარული ოჯახური ტრადიციაა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. თუმცა კი დედაჩემიც და მამაჩემიც ხელოვნების დიდ მოყვარულები არიან. მეც მაინტერესებს ოპერა, თეატრი, საერთოდ, ხელოვნება. სანქტ-პეტერბურგში ჯუზეპე ვერდის „ტრავიატას" დავესწარი. ასეთი სიამოვნება ჯერ არცერთი სპექტაკლიდან არ მიმიღია, აღტაცებული დავრჩი.

**— ფეხბურთელების ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა, მით უმეტეს, როცა გაიგებენ რომ ოპერაში დადიხარ, საკბილოც მიეცემათ...**

— სულაც არა, პირიქით. ჩემს სურვილებსა და სიამოვნებასთან ვის რა საქმე აქვს — ამას ვერავინ დამიშლის. არც ვმალავ — არაფერი ცუდი არ არის იმაში, რომ ოპერა მიყვარს. ეს არავის უკვირს და თუ ვინმე რამეს მეუბნება კიდეც, მხოლოდ ხუმრობით. ეს არც მწყინს.

**— რომელიმე დინამოელი თუ აიყოლიე და წაიყვანე ოპერაში?**

— ჯერჯერობით თბილისში ოპერის მოყვარული ფეხბურთელი ვერ მოვძებნე.



ხომერიკი (მუქ ფორმაში) და დიდავა ახლა ერთ გუნდში თამაშობენ, ადრე კი მეტოქეები იყვნენ

ბათუმში სხვაგვარად იყო საქმე — დათო უჯმაჯურიძე, ვანო მახარაძე და მე სიამოვნებით ვესწრებოდით საოპერო სპექტაკლებს.

**— წარმოიდგინე ასეთი სიტუაცია: ტელევიზიით ჩემპიონთა ლიგის ფინალს აჩვენებენ, ამავე დროს თბილისში ლუჩანო პავაროტის კონცერტი იმართება. რომელს ამჯობინებ?**

— რა თქმა უნდა, ფეხბურთს. ჩემთვის უმთავრესი ფეხბურთია, მას მოჰყვება ყველა დანარჩენი — ოპერა, თეატრი. ფეხბურთის გარდა ჩემთვის ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

**— მძიმე ვარჯიშებისა და უსასრულო მოგზაურობის პირობებში როგორ ახერხებ თეატრში სიარულს?**

— სურვილი თუ გაქვს, ყველაფერს შეძლებ.

**— რომელი მომღერლები მოგწონს?**

— ლუჩანო პავაროტი, როკ-ჯგუფებიდან კი — „ლედ ზეპელინი".

**— თვითონ თუ მღერიხარ?**

— არა, სიმღერის ნიჭი არ მაქვს. მსმენელის როლს ვჯერდები.

**— თავისუფალ დროს კიდევ სად და როგორ ატარებ — ბარებში, რესტორნებში თუ ქალებში?**

— შეძლებისდაგვარად ყველგან დავდივარ. გოგონებთან ურთიერთობაც არ მავიწყდება. ნორმალურ ფარგლებში ყველაფერი უნდა მოსინჯო.

მერაბ მამულაშვილი

# „არველაძე — კვლავ უბადლოა"

„ასეთი რეზო მე არ მახსოვსო" — უთქვამს თბილისში ამასწინათ ორიოდე დღით ჩამოსულ გიორგი ნემსაძეს რეზო არველაძეზე. ეტყობა არც გერმანელებს ახსოვთ ასეთი რეზო, ყველა თამაშში მატჩის საუკეთესო მოთამაშე რომ ხდება. სანამ „კაიზერსლაუტერნის" მეორე გუნდთან 1:2 წააგებდნენ, „ჰომბურგმა" „ჰაუენშტაინს" 2:0 მოუგო. მატჩის პირველივე წუთზე რეზომ ულამაზესი გოლი გაიტანა და ნახევარი საათის მერე პარტნიორს საგოლე პასიც მისცა. „კიკერმა" ამ თამაშის შესახებ სტატიას „არველაძე გოლისა და იდეების ავტორიო" — დაარქვა. სტატიაში წერია, რომ: „განუმეორებელი რევაზ არველაძე „ჰომბურგის" შეტევების იდეების მიმცემი და მათი წამოწყების ინიციატორი იყო. სამწუხაროდ, მისი ჩინებული საგოლე გადაცემები პარტნიორებმა ვერ გამოიყენეს". ამ მატჩში რეზო მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა. ბოლო მატჩში კი „ვატენშაიდთან" „ჰომბურგის" მწვრთნელმა ული ზუდემ რეზო თავდასხმაში დააყენა და მანაც ორი გოლი გაიტანა. მისმა გუნდმა კი 5:1 მოიგო. „კიკერი" ამ მატჩის შესახებ წერს: „მატჩის საუკეთესო მოთამაშე, ექს-კიოლნელი რევაზ არველაძე ამ თამაშში უბადლო იყო და მარტო ორი გატანილი გოლის გამო არ იმსახურებს ამ ტიტულს: „ჰომბურგის" მიერ ნათამაშები თითქმის ყველა მატჩის ოქმში არველაძის გვარი შავი შრიფტითაა გამოყოფილი, რაც მატჩის საუკეთესო მოთამაშეობას აღნიშნავს.

მოკლედ, რეზო მართლაც ბრწყინვალედ თამაშობს „ჰომბურგში", მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მესამე დივიზიონი მაინც მესამე დივიზიონია. ჩემი მონაცემებით რეზოთი მეორე და პირველი ბუნდესლიგის რამდენიმე გუნდია დაინტერესებული. რამდენადაც ვიცი, მისით დანიური „ბრონდბიუც" დაინტერესებულა.

რაც შეეხება აჩიკო არველაძეს, იგი ისე მომჯობინებულა, რომ უკვე ყავარჯნებით, სხვების დაუხმარებლად დადის ექიმთან, ოციოდ დღეში კი მკურნალობის კურსი დაუმთავრდება და რამდენადაც ვიცი, თბილისს გამოემგზავრება.

გოჩა საითიძე

ზაარბრიუკენიდან



Dreh- und Angelpunkt: Der Hamburger Rewas Arweladse beim 2:0 gegen Hauenstein. Foto: Hartung

**Arweladse: Tor und Ideen**


ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 36-00-94, 36-65-00, 93-36-71



საფეხბურთო ტოტალიზატორი

ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 24 (30-31 მარტი)

| | |
|---|---|
| 1 პიაჩენცა — მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2 იუვენტუსი — პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 3 ინტერი — ფიორენტინა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4 ნაპოლი — კალიარი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5 ატლეტიკო — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 ალბასეტე — ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 ესპანიოლი — მერიდა | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 30 მარტს 16. 00 სთ-ზე

ყურადღება!

„თამაშის წესების" მე-10 პუნქტში შეტანილია ცვლილებები. ამიერიდან — იმ შემთხვევაში, თუ ტირაჟის ერთი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაეთვლებათ გამოცნობილად. თუ არ ჩატარდა ორი ან მეტი მატჩი — ტირაჟი გამოცხადდება გაუქმებულად. ბილეთის ღირებულება უკან დაბრუნდება. არჩატარებულად ჩაითვლება:

1) მატჩი, რომელიც არ ჩატარდება (დამთავრდება) მომდევნო ტირაჟის ბილეთების რეგისტრაციის (ჩაბარების) ვადის ამოწურვამდე;

2) მატჩი, რომელიც დაიწყება შესაბამისი ტირაჟის ბილეთების რეგისტრაციის (ჩაბარების) ვადის ამოწურვამდე.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, აზმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

# დიდი მზადების დღე ევროპაში

## ამხანაგური მატჩები

### ბელგია 0:2 საფრანგეთი

ბელგია: დე ვილდე, ეენო, მედვედი (ვერიანსი 46), რენიერი, სმიდტსი, ალბერი, პიერმანსი, ბოფინი (დე ბილდე 69), შიფო, დეგრიზი (გუსენსი 46), ოლივეირა

საფრანგეთი: ლამა, ტურამი (ანგლომა 46), როში, ბლანი, დი მეკო, კარემბუ, დეშამპი, პედროსი (ლაილი 70), მარტინი, ლამუში, დუგარი (პოჟე 82)

გოლი: ალბერი (საკუთარ კარში 66), ლამუში (72)

ფრანგები ბრიუსელში სასურველი შემადგენლობით ვერ ჩავიდნენ. მართალია, სამფეროვანთა გუნდს ხანგრძლივი მკურნალობის მერე დაუბრუნდა „ოსერის" 30 წლის მცველი ლორან ბლანი, რომლისთვისაც ბელგიელებთან მატჩი ნაკრებში 47-ე იყო, მაგრამ დანაკარგი მეტი ჰქონდათ. შაბათ-კვირას, იტალიისა და საფრანგეთის ჩემპიონატების შეხვედრებში დაშავდნენ „მილანის" მარსელ დესაი, „სტრასბურის" ფრანკ ლებეფი და „ბორდოს" ზინედინ ზიდანე. მწვრთნელმა ემე ჟაკემ მე-17 ფეხბურთელად დაიმატა „მეცის" თავდამსხმელი კირილ პოჟე.

სტუმრებმა დამხვდურთ შანსი არ დაუტოვეს. მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე ბელგიელთა თანაშემწე-მწვრთნელმა ვილფრიდ ვან მურმა აღიარა: „ჩვენზე გაცილებით ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ. მეტოქეები მეტად ტექნიკური, მძლავრნი და სწრაფნი იყვნენ. დღეს ჩვენ მათთან ახლოსაც ვერ მივალთ."

მიუხედავად უპირატესობისა, პირველი ტაიმი უგოლოდ გაილია. მეორეში კი ანგარიში „ნიუკასლ იუნაიტედის" ფილიპ ალბერმა გახსნა, რომელმაც ემანუელ კორინტინ მარტინის პასი კრისტოფ დუგარის არ მიუვიდესო და საკუთარ მეკარეს ფილიპ დე ვილდეს თავით მშვენიერი გოლი შეუგდო. მასპინძლები მეტად იშვიათად ახერხებდნენ ფრანგების კართან რაიმე ხიფათის შექმნას. ერთი ასეთი ეპიზოდი 61-ე წუთზე იყო. გოლის გატანა შეცვლაზე შესულ გუსენსს შეეძლო, მაგრამ სტუმართა მეკარემ ბერნარ ლამამ დარტყმა ფეხით უვნებელყო.

ამ მოგებით საფრანგეთის ნაკრებმა მიშელ პლატინის მწვრთნელობის დროინდელი რეკორდი — ზედიზედ 19 წაუგებელი შეხვედრა — მოხსნა. თანაც ეს გამარჯვება ზედიზედ მეექვსე იყო.

### იუგოსლავია 1:0 რუმინეთი

იუგოსლავია: კოშიჩი, ბრნოვიჩი, ვუიაჩიჩი, იოკანოვიჩი, დიუკიჩი, მიხაილოვიჩი, იუგოვიჩი, მიატოვიჩი, კურჩიჩი, სტოიკოვიჩი, მილოშევიჩი

რუმინეთი: პრუნია, პეტრესკუ, პროდანი, დობოსი, ლუპესკუ, სელიმესი, ლეკეტუში, საბეუ, მოლდოვანი, პაჯი, მუნტიანუ

გოლი: სტოიკოვიჩი (51)

ბელგრადში იუგოსლავიამ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს სულ მალე, 24 აპრილს იწყებს, რუმინეთი ისტუმრა, წაავარჯიშა და თავადაც გავარჯიშდა. რუმინელებს ევროპის პირველობამდე დრო აქვთ, იუგოსლაველები კი ზემოხსენებულ 24-მდე მეტად ვეღარ მოემზადებიან. ქვეჯგუფის პირველ შეხვედრაში ისინი ფარერის კუნძულებს უმასპინძლებენ.

მატჩის წინ იუგოსლაველთა მწვრთნელი სლობოდან სანტრაჩი იმით იყო კმაყოფილი, რომ მათი სპარინგ-პარტნიორი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. „რუმინეთის ნაკრებში ყველა უტევს და ყველა იცავს" — ამბობდა იგი.

რაც შეეხება რუმინელებს, ისინი ბელგრადს მთავარი მწვრთნელის ანგელ იორდანესკუს გარეშე ჩავიდნენ. იორდანესკუს შინაური პრობლემები დაატყდა თავს. კერძოდ, მას რუმინეთის პირველობის ერთ-ერთი თამაშის ჩაწყობას აბრალებდნენ. საქმეში თვით ქვეყნის პრეზიდენტი იონ ილიესკუ ჩაერია და ასე თუ ისე ჩააცხრო კიდეც.

შეხვედრის ერთადერთი გოლი დრაგან სტოიკოვიჩმა მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე გაიტანა. მანამდე, პირველ ტაიმში, სტუმრები უკვე თამაშობდნენ, მაგრამ მასპინძელთა მეკარეს კოშიჩს, რომელიც თავის გუნდში ერთადერთი მოთამაშე იყო, იუგოსლავიურ კლუბში რომ გამოდის, ვერაფერი დააკლეს.

მცველი ბუდიმირ ვუიაჩიჩს, ლისაბონის „სპორტინგში" რომ თამაშობს, ამ შეხვედრაში ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ჰოსპიტალში წასაყვანი შეიქნა. ტრავმათა გამო მეტოქეებს აკლდნენ „მილანის" დეიან სავიჩევიჩი, „ბარსელონას" გეორგ პოპესკუ და „ვესტ ჰემის" ილიე დემიტრესკუ.

### პორტუგალია 1:0 საბერძნეთი

პორტუგალია: ბაია, ნელსონი (ნევასი 46), მადეირა (ტეშეირა 57), კრისტოვაო, მენდესი, ტავარესი, ბენტო (ოსეანუ 46), ჟოაო პინტუ, დომინგუში (მანუელ კრუსი 73), სა პინტუ (კაპუჩო 46), ფოლია (ალვეში 57)

საბერძნეთი: ატმაძიდისი, აპოსტოლაკისი (ფრანცეკოსი 52), კასაპისი, კარატადისი, კალიცაკისი, კონსტანტინიდისი, ზოგორაკისი (ანატოლაკისი 54), კოსტისი (მახლასი 46), ბატისტა (ნიკოლაიდისი 79), ალექსანდრისი, ვრიზასი

გოლი: ოსეანუ (3)

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირამ კარგად იცოდა, რომ მისი ბიჭებისთვის საფრანგეთსა და გერმანიასთან წაგების შემდეგ გამარჯვება ფსიქოლოგიურად აუცილებელი იყო. და მაინც ოლივეირას საზღვარგარეთულ კლუბში მოთამაშეთაგან ერთიც არ მიუწვევია. მათ რიცხვში არც „ბარსელონას" ლუიშ ფიგუ და „იუვენტუსის" პაულუ სოუზა.

სრული შემადგენლობით არც ბერძნები იყვნენ. მათ აპრილში, ათენში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უწევთ სლოვენიასთან და ალბათ ძლიერ სურდათ ყველა მოთამაშის გამოცდა, მაგრამ საბერძნეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი, 26 მატჩში 23 გოლის ავტორი, ა.ე.კ.-ის ვასილის ციარტასი ჯარში გაიწვიეს. მასავით ჯარშია „ოლიმპიაკოსის" მცველი ვასილის დავიზასი.

მატჩის ერთადერთი გოლი პენალტით გავიდა. ნახევარმცველი ოსეანუ ბერძენმა მცველმა ვრიზასმა წააქცია და თერთმეტმეტრიანი თავად ოსეანუმ დაარტყა. პორტუგალიელები ორივე ტაიმის განმავლობაში სჯაბნიდნენ სტუმრებს, რომელთაც ერთხელ, 70-ე წუთზე, შეეძლოთ გატანა. შეცვლაზე შესულ ფრანცეკოსს მეტოქე მცველების ყურადღება მოაკლდა და საგოლე პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ მეტად უსუსურად დაარტყა.

### ავსტრია 1:0 შვეიცარია

ავსტრია: კონსელი, შოპი, კარტალია, ფეფერი, ფაიერზინგერი, მარასეკი, ფაიფენბერგი, ვეტლი, პოლსტერი (ოგრისი 58), ვასტიჩი, სტამფი (პაასი 58)

შვეიცარია: პასკოლო, პოტიგერი, კვენტინი, პენპორცი, იანერეტი, კოლომბო, კომისეტი, ორელი (ჩეზა 61), კნუპი, კოლერი (ფოგელი 61), გრასი

გოლი: ოგრისი (73)

ტრავმებმა არც ამ მატჩში ათამაშა ყველა ფეხბურთელი. ავსტრიელებს საზარდულნატკენი პეტერ შტიოგერი და ბარძაყდაშავებული პეტერ შოიტელი აკლდათ.

73-ე წუთზე ჰაიმო ფაიფენბერგმა შვეიცარიელთა დაცვა გაგლიჯა და მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა. ანრი ოგრისმა ბურთს სტუმართა კარის გზა ასწავლა. არადა, შვეიცარიელები უფრო მეტს უტევდნენ. ორჯერ ძლიერ სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ მასპინძლები მაგრად დაუდგნენ. ამრიგად, ავსტრიელებმა შეძლეს ის, რაც 1978 წლის მერე ვერ მოეხერხებინათ — შვეიცარიელთა დამარცხება.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა ჰერბერტ პროჰაზკამ თქვა: „ალბათ, ფრე უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა. შვეიცარიელები ძალიან კარგად თამაშობდნენ."

### ინგლისი 1:0 ბულგარეთი

ინგლისი: სიმენი, ნევილი, პირსი, ინსი, საუსგეიტი, პაუი, მაკმანამანი, გასქოინი (პლატი 76), ფერდინანდი (ფაულერი 76), შერინგემი (ლი 76), სტოუნი

ბულგარეთი: მიხაილოვი (პოპოვი 46), კრემენლიევი, ივანოვი, გინჩევი (გენჩევი 46), ხუბჩევი, იანკოვი, კონსტადინოვი, კირიაკოვი, პენევი, ლეჩკოვი, იორდანოვი (ბორიმიროვი 46)

გოლი: ფერდინანდი (7)

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა, ინგლისელებმა, პირველ ტაიმში მშვენივრად ითამაშეს, მეორეშიც მედგარ ფეხბურთს მისდიეს და ბულგარეთთან ღირსეულად გაიმარჯვეს. ამ საინტერესო შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-7 წუთზე გავიდა, როდესაც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა ტედი შერინგემმა 30-მეტრიანი ბრწყინვალე პასი მიაწოდა ლეს ფერდინანდს, რომელმაც სტუმართა მეკარეს, ბორისლავ მიხაილოვს იმ დღეს ნაკრებში 91-ედ რომ თამაშობდა, შანსი არ დაუტოვა.

მეორე ტაიმის მე-20 წამზე მსაჯს ბულგარელების გოლი რომ ჩაეთვალა, ანგარიში გაყაიმდებოდა, მაგრამ იმ ეპიზოდში, სანამ ემილ კოსტადინოვი შეაგდებდა, დანიელ ბორიმიროვმა ხელით ითამაშა. მეორე ტაიმში სტუმრები, რომელთაც ბოლო ვარჯიშზე კუნთდაზიანებული მთავარი ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი აკლდათ, უფრო გააქტიურდნენ, ოღონდ ინგლისელთა მეკარე დევიდ სიმენს დიდი



ლეს ფერდინანდი

ხიფათი მაინც ვერ დაატეხეს თავს. დიმიტარ პენევის მოთამაშეები, რომელთაგან შვიდი მწვრთნელს ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდა, საკუთარი თავის აჩრდილებიღა იყვნენ. ისინი ისევ მეკარე მიხაილოვს და იღბალს უნდა უმადლოდნენ, პირველ ტაიმშივე 3:0 რომ არ იყო მასპინძელთა სასარგებლოდ: ფერდინანდმა ძელს გაარტყა, შერინგემს, მაკმანამანს და იმავე ფერდინანდს კი გოლკიპერმა აჯობა.

### ირლანდია 0:2 რუსეთი

ირლანდია: გივენი, ფილანი, სტონტონი, კერნაგენი, მაკგრატი, კინი, თაუნსენდი (კინა 46), მაკატირი, ქუინი (ქოინი 85), ოლდრიჯი (კასკარინო 63), კენედი

რუსეთი: ჩერჩესოვი, რადიმოვი (რადჩენკო 46), ნიკიფოროვი, ციმბალარი (თეთრაძე 46), კოვტუნი, კარპინი, ონოპკო, კანჩელსკისი, კოლივანოვი, მოსტოვოი, კირიაკოვი (სიმუტენკოვი 66)

გოლი: მოსტოვოი (34), კოლივანოვი (54)

გაძევება: კინი

ამ მატჩამდე ირლანდიელებს ათი წლის მანძილზე ჯეკი ჩარლტონი წვრთნიდა. რუსებთან კი ახალი თავკაცის მიკ მაკარტის დებიუტი შედგა. მაკარტის მაინცდამაინც არ გაუმართლა. მისმა გუნდმა წააგო, მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე კი მოედნიდან როი კინი გააძევეს. თუმცა ახალ მწვრთნელს ჯერ დრო აქვს, ირლანდიელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ბრძოლაში მხოლოდ 31 აგვისტოს ლიხტენშტეინთან მატჩით ებმებიან.

კინი ომარ თეთრაძის წაქცევისთვის გააძევეს. ამ დროისთვის უკვე 0:2 იყო. 35-ე წუთზე მოსტოვოიმ გახსნა ანგარიში. მან ბურთი საჯარიმოსთან მიიღო და დებიუტანტ მეკარეს შეი გივენს მარჯვენა ხელთან ჩაუტარა. 54-ე წუთზე კი კოლივანოვი მასპინძლებმა უმეთვალყურეოდ დასტოვეს. რუსი ფორვარდის დაბალი დარტყმა ზუსტი იყო.

შეხვედრის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ონოპკომ საჯარიმოში ხელით ითამაშა. ჰოლანდიელმა მსაჯმა ჰუგო ლუიტენმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, მაგრამ სტივ სტონტონმა, რომელიც იმ დღეს უჩვეულო, ცენტრალური მცველის ამპლუაში თამაშობდა, მეკარე ჩერჩესოვს ვერ აჯობა. შემდეგ „მანჩესტერ სიტის" ფორვარდმა ნეილ ქუინმა კუთხურიდან ჩაწოდებული შეაგდო, მაგრამ არბიტრმა ჩერჩესოვთან შეჯახებისთვის დააჯარიმა და შესაბამისად გოლიც არ ჩათვალა.

### ჩ. ირლანდია 0:2 ნორვეგია

ჩრდ. ირლანდია: ფეტისი, ლომასი, კორსინგტონი, პილი, მაკდონალდი, ლენონი, გილესპი, ონილი, დაუი, მეჯილტონი, პიუზი

ნორვეგია: გროდასი, პაალანდი, იონსენი, ბერგი, ბიორნები, რუდი, სოლბაკენი, ლეონარდსენი (იაკობსენი 24), ფიორტოფტი, რეკდალი, სოლსკიაერი

გოლი: სოლსკიაერი (51), ოსტენსტედი (78)

გაძევება: დაუი

ბელფასტის „ვინძორ პარკზე" მასპინძლებმა ვერც ხეირიანად შეუტიეს და თან 84-ე წუთზე „ვესტ ჰემის" თავდამსხმელი ლაიან დაუი მეტოქის მცველ რონი იონსენთან ძიძგილაობისთვის გაუძევეს მოედნიდან. ჩრდილოირლანდიელები მადლობელნიც კი უნდა იყვნენ, 0:3 რომ არ წააგეს. განსაკუთრებით საშიში სტუმართა კუთხურები იყო. ნორვეგიელებს 24-ე წუთზე „უიმბლდონის" ნახევარმცველი ოივინდ ლეონარდსენი მოაკლდათ, რომელიც დაშავდა და მინი იაკობსენით შეცვალეს.

51-ე წუთზე მოულოდნელი გოლი გავიდა. სოლსკიაერის ჩაწოდებული მაკდონალდმა შემთხვევით თავის კარში შეაგდო. მეორე გოლი 78-ზე მოედანზე ოთხი წუთის შესულმა ეგილ ოსტენსტედმა გაიტანა და 5 343 მაყურებელს სალამო ჩაუმწარა.

### შოტლანდია 1:0 ავსტრალია

შოტლანდია: ლეიტონი, ბერლი, ბოიდი, ონილი, პენდრი, მაკკინლი, სპენსერი, მაკსტეი, მაკკოისტი, მაკალისტერი, კოლინზი

ავსტრალია: ბოზნიჩი, ტავიდმარი, პოპოვიჩი, ვან ბლერკი, სლეიტერი, პორვატი, არნოლდი, ა. ვიდმარი, კორიცა, ვიარტი, ტობინი

გოლი: მაკკოისტი (53)

ალი მაკკოისტმა 50-ე მატჩი ჩაატარა ნაკრებში და ჩვეულებრივი, მამაპაპური თაურით თავისი მე-18 გოლი გაიტანა. მიუხედავად გამარჯვებისა, შოტლანდიელებს გულში ხინჯი დარჩათ. საქმე ისაა, რომ მათ შვიდი წამყვანი მოთამაშე აკლდათ და ამდენად ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისში ერთგვარად ხელი შეეშალათ.

რაც შეეხება ავსტრალიის მწვრთნელს ადი ტომსონს, იგი მატჩის შემდეგ კმაყოფილი ჩანდა. მისი თქმით, ავსტრალიელი მოთამაშეები ნიჭს ვერ დაემდურებიან და თან ზოგი მათგანი ევროპულ კლუბებში თამაშით ტექნიკას ხვეწს.

### გერმანია 2:0 დანია

ოლივერ ბირჰოფი კარიერაში მეორედ თამაშობდა ნაკრებში, მაგრამ ამას ფეხბურთელისთვის მორიდების ბორკილები არ დაუდია. ბირჰოფმა ორი გოლი შეუგდო ევროპის ჩემპიონებს და თავის გუნდს გაამარჯვებინა. 44-ე წუთზე კრისტიან ციგეს დიდებული გარბენისა და ჩაწოდების შემდეგ, „უდინეზეს" თავდამსხმელმა ანგარიში გახსნა. 61-ზე თომას ჰესლერმა ჯარიმა დაარტყა, ბირჰოფმა თავი წააშველა, ბურთი პიტერ შმაიხელს ფეხებში გაუძვრა და ანგარიშიც გაიზარდა.

გერმანელები მათეუსის, ზამერის და მიოლერის გარეშე თამაშობდნენ.

### ხორვატია 2:0 ისრაელი

გოლი: სტიმაჩი (74), ვლაოვიჩი (76)

### ჩეხეთი 3:0 თურქეთი

გოლი: სუხოპარეკი (14, 59 პ), კუკა (90)

### სლოვაკეთი 4:0 ბელარუსი

## დიდი და პატარა მეტოქეები

საქართველოს ნაკრების პირველმა მეტოქემ შესარჩევ ჯგუფში, იტალიის ნაკრებმა მოიწყო მორიგი სამდღიანი შეკრება, რომელიც ოთხშაბათს სამოყვარულო გუნდ „რონდინელასთან" შემოკლებული მატჩით დამთავრდა. პირველი ტაიმი 36 წუთს გრძელდებოდა, მეორე კი — 35 წუთს. საკმ ასეთი შემადგენლობით წაიექსპერიმენტა: პერუცი (ტოლდო 37), ტორიჩელი (ფერარა 50), კარბონი, კონტე, ფერარა (აპოლონი 37), მალდინი, დი ლივიო, დი მატეო (დინო ბაჯო 37), კიეზა (მასიმო პაგანინი 37), ძოლა, ლომბარდო (კრიპა 32). აქ შეცდომა არ გეგონოთ: ჩირო ფერარა ჯერ გავიდა, 13 წუთში კი ტრავმირებული ტორიჩელის მაგივრად კვლავ ჩაერთო თამაშში. ნაკრებმა 2:0 მოიგო. პირველი გოლი პენალტით მეორე „ტაიმის" მე-20 წუთზე ძოლამ გაიტანა, შვიდ წუთში კი მალდინიმ მეორე შეაგდო.

ეროვნულ გუნდში არ იყო დელ პიერო, ვინც თანატოლებთან ერთად 21 წლამდე ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში თამაშობდა პორტუგალიის წინაალმდეგ. ჩეზარე მალდინიმ ორი კვირის წინანდელ 0:1 წაგების ამოქაჩვა შემდეგი შემადგენლობით შეძლო: პაგოტო, კანავარო, ნესტა, ტომაზი, გალანტე, ფრეზი, ამეტრანო (დელვეკიო 33), ბრამბილა (ბიჯიკა 84), ვიერი, დელ პიერო (პისტონე 78), პეკია. აქაც იტალიამ 2:0 მოიგო. ორივე გოლი, იტალიური წესებით, სტუმართა მცველ პეიშეს ავტოგოლად ჩაეთვალა. ამ მოგებით იტალიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ატლანტის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა. დანარჩენი სამი მეოთხედფინალი ასე დამთავრდა: შოტლანდია — უნგრეთი 3:1 (პირველი მატჩი 1:2), საფრანგეთი — გერმანია 4:1 (0:0), ჩეხეთი — ესპანეთი 1:2 (1:2). ამრიგად, ატლანტაში ევროპას წარმოადგენს ხუთი გუნდი: უნგრეთი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია და საფრანგეთი.

ოთხშაბათსვე ამხანაგურად ითამაშა პოლონეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც სტუმრად საბერძნეთის ახალგაზრდულ გუნდთან 2:3 დამარცხდა.

## რუსეთი

[illegible] ტურში ქართველებმა [illegible] გამოიჩინეს თავი, [illegible] ყველამ [illegible] და [illegible] ქართველების შესახებ რუსეთის ჩემპიონატში ძალზე მწირი აღმოჩნდა. „სპორტ-ექსპრესმა" ერთადერთი მინაშვილის თამაში გამოჰყო.

დინამო — ალანია 1:1

შელია (ალანია) — 6,0

ჯამარაული (ალანია) — შეცვალეს მე-2 ტაიმში

კრილია — ლოკომოტივი 1:0

მინაშვილი (კრილია) — შეცვალეს 75-ე წუთზე — 6,0

ზ. ჯანაშია (ლოკომოტივი) — 6,0

„თავიდან ყველას ეგონა, რომ მასპინძლები ვერ გაუძლებდნენ ვერცხლის პრიზიორს. გარინმა თავისი მეურვე რეზანცევი დაჯაბნა, ჯანაშიაც აშკარად სჯობდა მეტოქეს — და ამ ტანდემს სამარელები ძნელად უმკლავდებოდნენ."

„მალე სამარელებმაც ამოიღეს ხმა: ავალიანი (კრილიას სომეხი თავდამსხმელი) და მინაშვილი ბევრ ეპიზოდში საოცრებებს სჩადიოდნენ, როგორც კომბინაციების, ისე დრიბლინგის დროს. ავალიანს და მინაშვილს თითოჯერ თავისი მეკარის პასის შემდეგაც შეეძლოთ გოლი გაეტანათ.

ურალმაში — ლადა 0:0

სეფაშვილი (ლადა) — 5,0

კამაზი — ბალტიკა 0:0

ჭედია (კამაზი) — 5,5

გაბისკირია (კამაზი) — შეცვალეს 65-ე წუთზე — 4,5

ჯიშკარიანი (კამაზი) — 4,5

„როცა 85-ე წუთი იწურებოდა, კამაზელებს გოლის გატანის 100 პროცენტიანი შანსი მიეცათ. ძლიერი გამჭოლი გადაცემა მიიღო ჯიშკარიანმა, რომელსაც 10 მეტრის უპირატესობა მაინც ჰქონდა მცველებთან. მეკარე პომაზუნი, რომ მიხვდა — ვეღარავინ უშველიდა, კარიდან გამოვიდა და ფეხებში ჩაუვარდა ჯიშკარიანს. ჯიშკარიანმა მეკარე მოატყუა და სადღაც ხუთ მეტრში აღმოჩნდა პირით ხაზთან, მაგრამ კარიდან მახვილი კუთხით ჯიშკარიანმა დაარტყა და... გარედან მოარტყა ბადეს.

რა თქმა უნდა, ჯიშკარიანს შეეძლო კარს მიახლოებოდა, იგი დაღუპა საკუთარ თავში დაჯერებულობამ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დარტყმისას მას ფეხი გაუცურდა, ასე ვთქვათ, ყინულოვან ბალახზე. სტადიონის ამგვარი მდგომარეობა იყო მიზეზი ბევრი დაცემისა, ბურთის აჭრისა და ხზვა."

ტორპედო — ჟემჩუჟინა 1:0

დ. ჯანაშია (ჟემჩუჟინა) — 4,5

იონანიძე (ჟემჩუჟინა) — შეცვალეს 75-ე წუთზე — 4,0

„სპორტ-ექსპრესიდან"

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| ცსკა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-5 | 9 |
| დინამო | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| როსტსელმაში | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| კრილია | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| ზენიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| ჩერნომორეცი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-3 | 6 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 6 |
| როტორი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-1 | 5 |
| ნოვგოროდი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| ბალტიკა | 4 | 1 | 2 | 1 | 2-3 | 5 |
| ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| ლადა | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| ტექსტილშჩიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| ურალმაში | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-3 | 2 |
| ჟემჩუჟინა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| კამაზი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |

მოსკოვის „დინამოსა" და „ალანიას" მატჩი აურზაურით დამთავრდა. მიზეზს მოგახსენებთ. მოსკოველმა ჩერიშევმა მე-7-ე წუთზე გახსნა ანგარიში. 45-ე წუთზე მსაჯმა იური ჩებოტარიოვმა მასპინძელთა კარში დანიშნა პენალტი, რომელიც კასიმოვმა გამოიყენა. მოსკოველი სპორტული ჟურნალისტების აბსოლუტური უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ეს იყო გამოგონილი პენალტი. მატჩის შემდეგ „დინამოს" და ფეხბურთელთა ლიგის პრეზიდენტი კატეგორიულად მოითხოვდა მსაჯისგან დინამოელთა გასახდელში შესვლას. ჩებოტარიოვი ყოყმანობდა. ტოლსტიხმა ზურგში უბიძგა და მსაჯიც გასახდელში შევიდა. კარები შიგნიდან გასაღებით გადაკეტეს. გაისმა რაღაც ხმები და სამი წუთის შემდეგ ჩებოტარიოვი ტუჩგატეხილი გამოვიდა. „ეს ბანდიტიზმია" — დაიძახა ვალერი გაზაევმა და ჩებოტარიოვი „ალანიას" ექიმთან მიიყვანა. თავის მხრივ, ფეხბურთის ვეტერანებს, რომლებიც ინციდენტს შეესწრნენ, ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ მსაჯი მოსყიდული იყო. ისინი გაზაევს არც ხვდნენ ასეთი საქციელისთვის. ტოლსტიხი „ალანიას" გენერალურ დირექტორს ბითაროვს დაემუქრა. საპასუხოდ, ვილაცამ „დინამოს" მწვრთნელი ადამას გოლოდეცი გამოათრია და დაემუქრა, რომ მის გუნდს გათამაშებიდან მოხსნიან, რადგან ყველაფერი ფირზეა აღბეჭდილი.

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიაში** „კაიზერსლაუტერნმა“ თასის ფინალს კი მიაღწია, მაგრამ ჩემპიონატში ცუდად თამაშობს. შაბათს, შინ ბრემენის „ვერდერთან“ 0:0-ის შემდეგ გადადგა მთავარი მწვრთნელი ფრიდელ რაუში. „კაიზერს“ უკვე ჰყავს ახალი თავკაცი – 55 წლის ეკჰარდ კრაუტცუნი, რომელიც 1966-67 წლებში თავად იყო ამ გუნდის მოთამაშე, შემდეგ კი „მიუნხენ 1860“-ს და „ფრაიბურგს“ ხელმძღვანელობდა. „კაიზერსლაუტერნი“ ქვეყნის ჩემპიონი ბოლოს 1991 წელს გახდა.

**საფრანგეთის** დედაქალაქში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება... ერთი თვის შემდეგ, 4 მაისიდან. ფრანგები ქომაგებს პირდებიან, რომ ეს ბილეთები უფრო იაფი იქნება, ვიდრე 1994 წელს აშშ-ში იყო. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ორშაბათს გამართულ პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ პირველ ბილეთებს ფრანგულ კლუბებსა და ლიცენზიის მქონე ფეხბურთელებს მიჰყიდის. კიდევ 50 ათასს გასაღ ფიფას მისცემენ, რომელიც თავის მხრივ, მათ იმ 31 ქვეყანაში გაავრცელებს, რომელთა ნაკრებებიც ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ. პლატინის თქმით, ერთი მილიონი ბილეთი 150 ფრანკად (30 დოლარი) ან ნაკლებად გაიყიდება, დანარჩენი კი არაუძვირეს 250 ფრანკისა (50 დოლარი). რაც შეეხება დამაგვირგვინებელ, ფინალურ მატჩს, მასზე დასასწრები უიაფესი ბილეთი 350 ფრანკი (70 დოლარი) ეღირება, ანუ სამჯერ იაფი, ვიდრე წინა მსოფლიოს პირველობის ფინალზე ღირდა.

– ჩვენ გვინდა ტრიბუნებიც სავსე იყოს და სტადიონზე შესვლას ყველა გასწვდეს, – თქვა პლატინიმ, რომელსაც იმედი აქვს, რომ ჩემპიონატის 64 მატჩზე გაიყიდება ორმილიონნახევარი ბილეთი, რომელთაგან ორ მესამედს საკუთრივ საფრანგეთში შეიძენენ. ვარაუდობენ, რომ ბილეთების გაყიდვა ორგანიზატორებს 680 მილიონ ფრანკს, ანუ 135 მილიონ დოლარს მოუტანს.

**პორტუგალიის** ჩემპიონატს ლიდერობს „პორტუ“, რომელმაც მართალია, შაბათს „ბენფიკასთან“ 1:2 წააგო, და 17-თვიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, მაგრამ მაინც 13-ქულით უსწრებს ლისაბონელ მეტოქეს. ამ შეხვედრის მეორე წუთზე „ბენფიკას“ არგენტინელ ფორვარდ მაურო აირესთან შეჯახებისას მხარი დაიზიანა „პორტუს“ მეკარემ სილვანო ლოურომ. ორშაბათს ლოუროს ოპერაცია გაუკეთეს. პორტუს საავადმყოფოს ქირურგი მარიო ბესა ოპერაციით კმაყოფილია, მაგრამ გოლკიპერს სრული გამოჯანმრთელებისთვის ხუთი კვირა დასჭირდება. გუნდის მთავარი მეკარე ბაია კი ორი თვით დისკვალიფიცირებულია. მან მარტის დასაწყისში, ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი გალახა, რისთვისაც დასაჯეს. შესაბამისად „პორტუს“ მწვრთნელი ინგლისელი ბობი რობსონი დიდი პრობლემის წინაშე დადგა. მას გამოცდილი მეკარე აღარ დარჩა და მომდევნო თამაშებში შემცვლელ ვიტორ ნოვოასა და იუნიორ ადრიანოს თუ გაიყვანდა მოედანზე. პორტუელთა გასახარად, გამოსავალი მოიძებნა, ლიდერს თავისი გოლკიპერი ჟორჟე სილვა „სალგეიროშმა“ ათხოვა. გარდა ამისა მათ შვედეთის ნაკრების მეკარე ლარს ერიკსონიც შეიძინეს „ნორჩიოპინგისგან“.

**ინგლისში** შველმა თომას ბროლინმა საქმეები რომ ვერ ააწყო, ამის შესახებ მრავალჯერ დავწერეთ. ნოემბერში 6,9 მილიონ დოლარად „პარმადან“ „ლიდსში“ გადაყვანილი ვარსკვლავი ხშირად სათადარიგოთა სკამზე ზის. იგი სასტარტო შემადგენლობაში 16-ჯერ გავიდა მოედანზე, აქედან 10-ჯერ შეცვალეს, ექვსჯერ კი თავად იყო შემცვლელი. ამ 21 მატჩში მან ოთხჯერ გაიტანა გოლი – ბოლოს 13 იანვარს, „ვესტ ჰემს“ ორჯერ შეუგდო. შაბათს, „უემბლიზე“ ლიგის თასის ფინალში „ასტონ ვილას“ წინაალმდეგ ბროლინი მხოლოდ 25 წუთით ათამაშეს. „თუ ასეთ შეხვედრაში თავიდანვე ვერ ვითამაშებ, ესე იგი მომავალზე სერიოზულად მმართებს დაფიქრება“ – თქვა თომასმა იმ დღეს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ყველაფერი „ლიდსის“ მწვრთნელის ჰოვარდ ვილკინსონის ბრალი იყოს. მართალია, ვილკინსონს ინგლისის ნაკრების მომავალ მწვრთნელად მიიჩნევენ, მაგრამ ფინალის წაგების შემდეგ გულშემატკივრებმა დიდი სტვენა-ღრიალი დაატეხეს თავს. „ვგრძნობ, რომ ხალხის უკმაყოფილება ჩემზე ტყდება – დაიჩივლა ვილკინსონმა – არა მგონია, ყველაფერი ჩემი ბრალი იყოს, მაგრამ არც პასუხისმგებლობას ვიხსნი თავიდან. ძნელია ჩემი განცდები გადმოვცე. ისეთ კოშმარში მოვყევი, ცხოვრებაში რომ არ დამავიწყდება.

**ბრაზილიის** 1982 და 1986 წლების ნაკრების მწვრთნელი, ცნობილი ტელე სანტანა, ახლა „სან-პაულუში“ რომ მუშაობს წარმატებით, კვირას საკუთარ აგარაკზე ქალაქ ბელუ ორიზონტის მახლობლად წაიქცა და გონება დაჰკარგა. 64 წლის სანტანა სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. „ის მხნედაა და ფიზიკურადაც კარგად არის“ – თქვა საავადმყოფოს ექიმმა ჟოზე ოლინტუმ. მისი აზრით, მწვრთნელმა ჯერ უნდა დაისვენოს, თუმცა ერთ თვეში სამსახურში წასვლაც შეეძლება. ექიმი თვლის, რომ სანტანას პრობლემა სისხლის ცირკულაცია იყო. დიაბეტიკის გულწასვლა ალბათ სწორედ ამან გამოიწვია.

**არგენტინაში** საოცარი კრივისთვის ემზადებიან. 3 აპრილს, კორდობაში, დიეგო მარადონა სამრაუნდიან ბრძოლაში შეებმება ყოფილ მოკრივეს, 15 წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონს სანტოს ლასიარს. ლასიარი მაშინ იოჰანესბურგში გახდა ჩემპიონი, როდესაც ფინალში სამხრეთაფრიკელი პეტერ მათებულა სცემა. მომავალი ბრძოლის პირველ და მეორე რაუნდში მეტოქეები ჩაფხუტებით იქნებიან, მესამეში კი თავსაბურავებს მოიხსნიან. მოკრივეებთან „ძველბიჭობა“ დიეგოსთვის უცხო ხილი არ არის. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რომ ემზადებოდა, იგი ბუენოს-აირესში ხშირად იწვევდა ხოლმე ვეტერან მოკრივეებს რინგზე, ხოლო „ნაპოლიში“ თამაშის დროს მსუბუქ-საშუალოწონოსან იუნიორს, პატრიციო ოლივას საჩვენებელ ჩხუბში შეება.

**ინგლისში** „პორტსმუტის“ მწვრთნელმა ტერი ვენებლმა თქვა, რომ იგი მომავალი სეზონიდან „ლივერპულის“ და უელსის ნაკრების სახელგანთქმულ ვარსკვლავს, 34 წლის იან რაშს თავისთან გადაიყვანს. რაში, როგორც ცნობილია, ზაფხულიდან სტოვებს „ლივერპულს“, სადაც მრავალი დიდებით მომტანი წელი გაატარა. მისი ტრანსფერი უფასოა. ვენებლმა და იანმა უქმეებზე ორი საათი ითათბირეს. „ისე ძლიერ მსურდა რაშის გადაბირება, რომ ვგონებ, ღმერთმა მისმინა და ამიტომ ატოვებინებს „ლივერპულს“ – თქვა ვენებლმა – იანისთვის უმჯობესია პირველი დივიზიონის ამბიციურ გუნდში ითამაშოს, ვიდრე პრემიერლიგის სუსტ წარმომადგენელს შეუერთდეს.“

**გერმანიის** ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველი ენდი მიოლერი დაშავდა და ალბათ ექვსი კვირით მოაკლდება თანაგუნდელებს. ამ მოთამაშემ მუხლი ახლახანს მოიმუშა, მაგრამ ექიმებმა ახალი, გულსატკენი ამბავი აცნობეს – მას მარცხენა ფეხის ქვედა მყესები გაუწყვეტია. მაისამდე დასვენება იმას ნიშნავს, რომ 28 წლის მიოლერი ვერ ითამაშებს „დორტმუნდის“ უმნიშვნელოვანეს შეხვედრებში. არადა, გუნდი წლეულს შარშანდელი შედეგის, ჩემპიონობის გამეორებას აპირებს. გარდა ამისა, ენდის ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად მეტად მცირე დრო დარჩება. „მიოლერის ტრავმა ნამდვილი შოკია. მის გარეშე ძლიერ გაძნელდება თამაში, რადგან იგი ჩვენი ნაკრების აშკარა ლიდერთაგანია“ – თქვა ბუნდესმწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა.

**იტალიაში** „ტორინომ“ მიმდინარე სეზონში მესამე მწვრთნელი დანიშნა. ჯერ დეკემბერში ტურინის გუნდმა ნედო სონეტი გაუშვა და მის ადგილზე ფრანკო სკოლიო მიიყვანა. სკოლიო ადრე „ჯენოას“, „უდინეზეს“, „ბოლონიას“ და „მესინას“ ედგა სათავეში. ბოლო ტურში „კალიარისთან“ 1:1-ის მერე კი სკოლიოც გაანთავისუფლეს თანამდებობიდან და ლიდო ვიერი დანიშნეს. 56 წლის ვიერი ფეხბურთელობისას იტალიის ნაკრების მეკარე იყო. ბოლოს კი „ტორინოს“ ახალგაზრდულ გუნდს თავკაცობდა.

**ინგლისში**, ნორსამბერლენდში მდებარე ნიუბიგინში 83 წლისა გარდაიცვალა მისის ქისი ჩარლტონი, ჯეკ და ბობი ჩარლტონების დედა. ადგილი, სადაც ქალბატონი ჩარლტონი გარდაიცვალა, მისი მშობლიური ქალაქიდან ეშინგტონიდან რამდენიმე კილომეტრშია. ეშინგტონში ჩარლტონებს საგვარეულო სახლი აქვთ, ქისი ჩარლტონი მილბერნების ოჯახის შთამომავალი გახლდათ. ამ გვარის ფეხბურთთან ურთიერთობა კი 1880-იან წლებში იღებს სათავეს. მისი ბიძაშვილი ჯეკი მილბერნი 1940-50 წლებში „ნიუკასლის“ ლეგენდარული ბომბარდირი გახდა.

# გმადლობთ, სინიორ ბერლუსკონი

24 მარტს ტელემაგნატს, მილიონერს და პოლიტიკოსს, იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის ათი წელი შეუსრულდა, რაც საფეხბურთო კლუბ „მილანის“ პატრონია. იმ დღეს, ნაცვლად მემარჯვენე-ცენტრისტული მოძრაობის წინასაარჩევნო საქმიანობისა, იგი „სან სიროსკენ“ გაემართა. ხუმრობა ხომ არ არის, ათი წელი... ამ ხნის განმავლობაში „მილანმა“ რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოიგო. ხუთჯერ ჩემპიონთა თასის ფინალში იყო, აქედან სამჯერ გაიმარჯვა. ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასს ფლობდა. ეროვნულ ჯილდოებზე შეგვიძლია სიტყვა აღარც კი ჩამოვაგდოთ. ანდა მხოლოდ ის ვთქვათ, რომ თუ ცა არ ჩამოიქცა, ბოლო ხუთ სეზონში მეოთხედ მოიპოვებს სკუდეტოს.

„სან სიროზე“ მისული მაგნატი საიუბილეო დღეს ალბათ სულ სხვა დახვედრას ელოდა. მადლიერ გულშემატკივართა ოვაცია არ ყოფილა, იყო სამარისებური სიჩუმე და სტადიონს გარეთ „მილანის“ ავტობუსის თავზე კვერცხების სეტყვა. „შეიძლება თამაში წააგო, მაგრამ ღირსება არ უნდა დაკარგო“ – ეწერა ერთ ტრანსპარანტზე.

ქომაგებმა უეფას თასის მეოთხედფინალში „ბორდოსთან“ 0:3 წაგება ვერ აპატიეს ფეხბურთელებს. მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ბედი ჰაერში ჰკიდია, თუმცა ამბობენ, იქითა სეზონიდან „პარმაში“ გადავაო.

ადრე არავინ აქცევდა ყურადღებას, ახლა კი ერთი ამბავია ატეხილი: თავდასხმას არა უშავს, დაცვაში კი ისევ ის ხალხი თამაშობს, ათი წლის წინ რომ თამაშობდა. იმ დღეს მოედანზე იყვნენ 36 წლის ტასოტი, 32 წლის გალი, 35 წლის ბარეზი და ერთადერთი „ჭაბუკი“ – 27 წლის მალდინი. მალდინის გარდა, დანარჩენებმა „მილანის“ ძირითადში თავი ჯერ კიდევ 1985 წელს, შვედი ნილს ლიდჰოლმის მწვრთნელობისას მოიყარეს.

„მილანი“ ყველაზე კოსმოპოლიტური გუნდია. ბერლუსკონის ათწლეულში მის შემადგენლობაში 61-მა ფეხბურთელმა, მათგან 13-მა უცხოულმა ითამაშა.

„როსონერის“, ანუ შავ-წითლებს მხარი „გაძეტა დელო სპორტმა“ დაუჭირა. „როგორ შეიძლება ერთი წაგება, თუნდაც მოულოდნელი, ღირსების დაკარგვას ნიშნავდეს გუნდისთვის, მეხუთე სეზონში მეოთხედ რომ იგებს ეროვნულ პირველობას?“ – კითხულობს გაზეთი.

„ვერ გამიგია გულშემატკივრების“ – თქვა ჯანი რივერამ.

რა იყო „მილანი“ ათი წლის წინ, როდესაც ბერლუსკონიმ ჩაიბარა? ეს იყო გუნდი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოგებულიყო გონს, 1981-82 წლების სეზონში ლიგიდან გავარდნის შემდეგ.

ახლა? ახლა „მილანი“ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რომელმაც „ბორდოსთან“ 0:3 წააგო.

მალდინიმ, რომელიც 1984 წლის მერეა გუნდში, ორშაბათს ასეთი რამ თქვა: „როგორც ჩანს, გულშემატკივრებმაც უნდა ისწავლონ წაგება.“

– „მილანის“ ქომაგები ასე არ უნდა იქცეოდნენ. როდესაც ფიქრობ გუნდზე, რომელიც წაფორხილდა, მაგრამ მაინც ლიგის ლიდერია, ამგვარად ვეღარ მოიქცევი – სილვიო ბერლუსკონი იუბილედან აშკარად გულნატკენი გაემართა შინისკენ.

## ჰოლანდია

28-ე ტური

ტვენტე – ეინდჰოვენი 3:2, სპარტა – როდა 2:2, ვიტესი – გრააფდსხაპი 0:1, ფორტუნა – უტრეხტი 2:1, ფეიენოორდი – ვილემ II 2:0, აიაქსი – გოუ ეპედი 2:1, ვოლენდამი – გრონინგენი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 27 | 22 | 3 | 2 | 84:16 | 69 |
| ეინდჰოვენი | 27 | 19 | 4 | 4 | 83:18 | 61 |
| ფეიენოორდი | 28 | 13 | 8 | 7 | 52:33 | 47 |
| ბრედა | 27 | 11 | 10 | 6 | 46:29 | 43 |
| ჰერენვეენი | 27 | 11 | 10 | 6 | 51:50 | 43 |
| ვიტესი | 27 | 12 | 6 | 9 | 41:39 | 42 |
| სპარტა | 28 | 11 | 9 | 8 | 46:46 | 42 |
| როდა | 28 | 10 | 11 | 7 | 35:33 | 41 |
| ტვენტე | 27 | 11 | 6 | 10 | 38:44 | 39 |
| გრონინგენი | 28 | 8 | 13 | 7 | 33:37 | 37 |
| ვილემ II | 26 | 9 | 9 | 8 | 44:37 | 36 |
| ვაალვიკი | 27 | 9 | 8 | 10 | 33:38 | 35 |
| ფორტუნა | 28 | 6 | 9 | 13 | 23:48 | 27 |
| გრააფდსხაპი | 28 | 5 | 8 | 15 | 31:56 | 23 |
| გოუ ეპედი | 26 | 5 | 7 | 14 | 36:49 | 22 |
| ვოლენდამი | 26 | 5 | 6 | 15 | 19:51 | 21 |
| ნიიმეგენი | 28 | 4 | 7 | 17 | 27:65 | 19 |
| უტრეხტი | 27 | 3 | 8 | 16 | 18:51 | 17 |

## ინგლისი

32-ე ტური. საუთჰემპტონი – ქოვენთრი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ | 32 | 20 | 7 | 5 | 60:31 | 67 |
| ნიუკასლი | 30 | 20 | 4 | 6 | 55:28 | 64 |
| ლივერპული | 31 | 17 | 8 | 6 | 60:27 | 59 |
| ასტონ ვილა | 32 | 16 | 8 | 8 | 47:31 | 56 |
| არსენალი | 32 | 15 | 9 | 8 | 44:28 | 54 |
| ტოტენჰემი | 30 | 14 | 9 | 7 | 40:30 | 51 |
| ევერტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 50:38 | 48 |
| ბლექბერნი | 31 | 14 | 6 | 11 | 47:36 | 48 |
| ნოტინგემი | 30 | 12 | 11 | 7 | 40:40 | 47 |
| ჩელსი | 32 | 11 | 12 | 9 | 37:35 | 45 |
| ვესტ ჰემი | 31 | 12 | 6 | 13 | 38:44 | 42 |
| ლიდსი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:41 | 39 |
| მიდლსბრო | 32 | 9 | 9 | 14 | 29:42 | 36 |
| შეფილდი | 32 | 9 | 8 | 15 | 43:51 | 35 |
| უიმბლდონი | 31 | 7 | 9 | 15 | 46:63 | 30 |
| მანჩესტერ სიტი | 32 | 7 | 9 | 16 | 26:49 | 30 |
| საუთჰემპტონი | 30 | 6 | 10 | 14 | 29:43 | 28 |
| ქოვენთრი | 31 | 5 | 12 | 14 | 37:56 | 27 |
| ბოლტონი | 32 | 7 | 4 | 21 | 35:62 | 25 |
| ქუინზ პარკი | 32 | 6 | 6 | 20 | 28:50 | 24 |

## ესპანეთი

33-ე ტური. ატლეტიკი – კომპოსტელა 0:0; ვალენსია – სალამანკა 2:0; დეპორტივო – სელტა 2:1; სარაგოსა – ხიხონი 1:1; ბარსელონა – ტენერიფე 2:2; ბეტისი – ალბასეტე 2:3; რეალი – სანტანდერი 1:2; რაიო ვალეკანო – ატლეტიკო 0:3; მერიდა – სევილია 3:2; ვალიადოლიდი – ესპანიოლი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 33 | 22 | 6 | 5 | 59:21 | 72 |
| ბარსელონა | 33 | 18 | 10 | 5 | 58:29 | 64 |
| ვალენსია | 33 | 20 | 4 | 9 | 63:39 | 64 |
| ესპანიოლი | 33 | 15 | 11 | 7 | 44:28 | 56 |
| ბეტისი | 33 | 15 | 11 | 7 | 51:36 | 56 |
| კომპოსტელა | 33 | 16 | 6 | 11 | 42:43 | 54 |
| ტენერიფე | 33 | 14 | 10 | 9 | 57:47 | 52 |
| რეალი | 33 | 14 | 9 | 10 | 61:46 | 51 |
| დეპორტივო | 33 | 13 | 10 | 10 | 53:31 | 49 |
| სოსიედადი | 32 | 13 | 9 | 10 | 42:41 | 48 |
| სელტა | 33 | 10 | 11 | 12 | 37:40 | 41 |
| სანტანდერი | 33 | 10 | 10 | 13 | 37:52 | 40 |
| სარაგოსა | 33 | 9 | 11 | 13 | 39:47 | 38 |
| ოვიედო | 32 | 10 | 8 | 14 | 35:46 | 38 |
| რაიო ვალეკანო | 33 | 10 | 7 | 16 | 37:56 | 37 |
| სევილია | 33 | 8 | 11 | 14 | 33:47 | 35 |
| ატლეტიკი | 33 | 8 | 11 | 14 | 31:46 | 35 |
| ხიხონი | 33 | 9 | 7 | 17 | 40:46 | 34 |
| ვალიადოლიდი | 33 | 8 | 10 | 15 | 40:50 | 34 |
| ალბასეტე | 33 | 8 | 9 | 16 | 44:62 | 33 |
| მერიდა | 33 | 6 | 12 | 15 | 28:48 | 30 |
| სალამანკა | 33 | 5 | 9 | 19 | 40:64 | 24 |

## მსაჯები და მატჩები

უეფაში უეფამ დაასახელა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის შეხვედრებს გაუძღვებიან:

| | | |
|---|---|---|
| 8 ივნისი: | ინგლისი – შვეიცარია | მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი) |
| 9 ივნისი: | ესპანეთი – ბულგარეთი | პიერო ჩეკარინი (იტალია) |
| | გერმანია – ჩეხეთი | დევიდ ილირეი (ინგლისი) |
| | დანია – პორტუგალია | მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია) |
| 10 ივნისი: | ჰოლანდია – შოტლანდია | ლეიფ სუნდელი (შვედეთი) |
| | რუმინეთი – საფრანგეთი | ჰელმუტ კრუგი (გერმანია) |
| 11 ივნისი: | იტალია – რუსეთი | ლესლი მოტრემი (შოტლანდია) |
| | თურქეთი – ხორვატია | სერჟ მუმენტალერი (შვეიცარია) |
| 13 ივნისი: | შვეიცარია – ჰოლანდია | ათანას ოზონოვი (ბულგარეთი) |
| | ბულგარეთი – რუმინეთი | პეტერ მიკელსენი (დანია) |
| 14 ივნისი: | ჩეხეთი – იტალია | ანტონიო ხ. ლოპეს ნიეტო (ესპანეთი) |
| | პორტუგალია – თურქეთი | შანდორ პული (უნგრეთი) |
| 15 ივნისი: | შოტლანდია – ინგლისი | პიერ ლუიჯი პაირეტო (იტალია) |
| | საფრანგეთი – ესპანეთი | ვადიმ ჟუკი (ბელარუსი) |
| 16 ივნისი: | რუსეთი – გერმანია | კიმ მილტონ ნილსენი (დანია) |
| | ხორვატია – დანია | მარკ ბატა (საფრანგეთი) |
| 18 ივნისი: | შოტლანდია – შვეიცარია | ვაცლავ კრონდლი (ჩეხეთი) |
| | საფრანგეთი – ბულგარეთი | დერმოტ გალაჰერი (ინგლისი) |
| | ჰოლანდია – ინგლისი | გერდ გრაბერი (ავსტრია) |
| | რუმინეთი – ესპანეთი | აჰმედ ჩაქარი (თურქეთი) |
| 19 ივნისი: | რუსეთი – ჩეხეთი | ანდერს ფრისკი (შვედეთი) |
| | ხორვატია – პორტუგალია | ბურნდ ჰეინემანი (გერმანია) |
| | იტალია – გერმანია | გი გუტალსი (ბელგია) |
| | თურქეთი – დანია | ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი) |



გოგი აზვლედიანი

შემოშველებული

## მოთქმით ტირილი ინგლისურ ფეხბურთსა ზედა (ძველებურად შეთხზული)

შესავალი

როდესაც მეფე ერეკლე მოკვდა, მისმა ერთგულმა მსაჯულმა სოლომონ ლიონიძემ დიდი სამგლოვიარო სიტყვა დაწერა და დასაფლავებისას წარმოთქვა.

ამ სიტყვას ერქვა „მოთქმით ტირილი ღერკულეს სწორისა მეფისა ირაკლისა ცხედრისა ზედა“, თუ რაღაც ასეთი. მასში დიდი სიყვარული და დარდი იყო ჩაქსოვილი.

ჩვენ, მესვეტესაც, ძლიერ გვიყვარდა ინგლისური ფეხბურთი და ახლაც გვიყვარს, მაგრამ ცოცხალ-მკვდრად მყოფის სიყვარული გულს ბოლმით გვივსებს, ჩვენცა გვწადია, აღდგეს ძველი დიდება ინგლისურ ფეხბურთსა და ამ ზაფხულს მაინც გაჩემპიონდეს დედოფლის მიწა, მაგრამ

ტირილი (გულამოსკვნილი)

რად სტირი მოედანო ალბიონისა?

დავრჩენილვარ ოხრად – შეუგდია სტოუნს ერთი და კლინსმანიანთ ხუთი და მოვშორებივართ უეფასაცა. აჰკუნძულო, ჩვენო მწვანე კუნძულო. დაგდებია ლიბრი და უპყრიხარ ნემენცთ და ოსტგოთთა. რად ვსტირი?

მოუქნევია ფეხი თათარ ნაიმსა და გაფრენილა ბურთი მერკურის პლანეტამდის და იქიდან ჩამოვარდნილა პირდაპირ სიმენის კარშია. ტერი ადამსს ოდენ ხელნი გაუშლია. აი, ამად ვსტირი.

უპირშავია ფერგიუსონს ალექსსა, კანტონიან-გიგზიანსა, ორი ნევილით შემკულსა და წაუგია კვლავ თათარ გალასთანა და უარესიც, რუს როტორთანაც დამხობილა-ყე.

ლივერპულსა კი, დიდსა და ძლიერსა, ბალახი შეუჭამია, თავთეთრა ოლსონიანთა ბრონდბის ქალაქთანა. აი, ამად ვსტირი.

და დარდი მქონია ბლექბერნისა, კოხტა ბიჭი შირერისა და მაგინებელ სოსი, ლედ წოდებულისა, ვინცა წაზდნენ ვიკინგებსა და შლიახტიჩებთანა.

და არ ვიტირო?

სიცილით უბნობენ, გრემ ტეილორ ჩერჩეტი გყოლიათ ტრენერადაო, ზანგთა მოყვარულიო. და გასკოინიცაო, ლიპიანი და წიხლიანი, ვერღარას ბურთაობსო.

. ბობი რობსონ უიდლ-ჰიდლისა დამმალავი გყოლიათო და რონ გრინვუდ კიგან-ბრუკინგის მოედანზე არ გამომყვანიო.

მკვდარია დიდი პეისლიცა და რად ვსტირი?

მოგიყვანიათო ბევრი ქინოლები, გულიტები, ქინქი-ყაველანი და ზანგნი მეტნი უფროის აფრიკისა და თქვენი მოგებული მაინც არავის უნახავსო.

აჰ კუნძულო, ჩემო მწვანე კუნძულო.

დუნკან ედვარდს და ტომი ტეილორ, დალუპულნო ალბიონის დიდებავ. რარიგ არ ვიტირო? მეტყვიან ძვირსაც, თუ არა ურჯულო ბაზრამოვიო და სერ სტენლი როუზიო, ნიკე ღმერთქალიც არ გეყოლებოდათო.

თქვენაო, აგერ იტყვიან, ომამ ბიიკ ღამისებრ შავმა დაგირტყათ ქუსლითო, დიეგომ ხელით გაფარჩაკათო და ამერიკამ დაგჯაბნათ ორმოცდაათში, ოდენ ჰაიტელ გუტიერესმა შეგიგდოთ თქვენივ მატ ბასბის უფროსობითო.

რად სტირიო, მოედანო ალბიონისა?

ვინც ზარმაცად არ იყო, ყველამ დამწიხლა და რად ვსტირი? რჩევას იტყვიან, დაცვა ხაზზე რად გიდევთო, ლიბერო დაისვითო. და რარიგ დავისოთ ლიბერო, ოდეს მამა-პაპათ არ უთქვამთ. ან არ ჩაჰკიდოთ ბურთიო და რარიგ არ ჩავკიდოთ, ოდეს თავად სერ სტენლი ჰკიდებდა.

აჰ, კუნძულო, ჩემო კუნძულო მწვანევ...

აჰ, იმ დროსა, რომ შევუყრიდით ბარე ოცსა, ნემეცსა, ფრანგსა, ავსტროსა და ყველასაც. ისინი კი ერთსაც ვერ შეგვიგდებდნენ.

რად სტირი, მინდორო ალბიონისა?

დავრჩენილვარ ოხრად, წმინდა დუნსტენის მადლმა.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. 25-ე ტური
29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ურდინგენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| კიოლნი — კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 2,8 | 2,9 |

30 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — ლევერკუზენი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ბაიერნი — დორტმუნდი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| აინტრახტი — მიონხენგლადბახი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| შალკე — ფრაიბურგი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| შტუტგარტი — ზანქტ პაული | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| ჰანზა — კარლსრუე | 1,4 | 2,8 | 4,4 |

31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — მიუნხენ 1860 | 1,7 | 2,7 | 3,0 |

ინგლისის ჩემპიონატი. 33-ე ტური
30-31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — ევერტონი | 1,7 | 3,0 | 2,7 |
| ბოლტონი — მანჩესტერ სიტი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ლიდსი — მიდლსბრო | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| ქუინზ პარკი — საუთჰემპტონი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ტოტენჰემი — ქოვენთრი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| უიმბლდონი — ნოტინგემი | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ინგლისის თასის ნახევარფინალი. ნეიტრალურ მინდორზე
30-31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ლივერპული | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ჩელსი | 1,4 | 3,0 | 4,0 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. 33-ე ტური
29-30 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლილი — ოსერი | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| ბორდო — მარტიგი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| პარი სენ-ჟერმენი — მეცი | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,1 |
| ნიცა — რენი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| მონაკო — კანი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| ბასტია — ლიონი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| გენიონი — მონპელიე | 2,9 | 2,8 | 1,7 |
| სენტ ეტიენი — სტრასბური | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| გინგამი — ლანსი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ნანტი — ლე ავრი | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |

იტალიის ჩემპიონატი. 28-ე ტური
31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ტორინო | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ბარი — რომა | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ინტერი — ფიორენტინა | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| იუვენტუსი — პარმა | 1,5 | 2,5 | 4,4 |
| ლაციო — ვიჩენცა | 1,25 | 2,9 | 6,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ნაპოლი — კალიარი | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| პადოვა — კრემონეზე | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| პიაჩენცა — მილანი | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| უდინეზე — სამპდორია | 1,6 | 2,7 | 3,4 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 34-ე ტური
30-31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალამანკა — კომპოსტელა | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| ტენერიფე — ვალენსია | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ალბასეტე — ბარსელონა | 3,6 | 3,2 | 1,4 |
| სოხიედადი — ბეტისი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| სანტანდერი — ოვიედო | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ატლეტიკო — რეალი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ხიხონი — რაიო ვალეკანო | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სევილია — სარაგოსა | 1,8 | 3,0 | 2,5 |
| ესპანიოლი — მერიდა | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,2 |
| სელტა — ვალიადოლიდი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| დეპორტივო — ატლეტიკი | 1,35 | 2,6 | 5,6 |

რუსეთის ჩემპიონატი. მეხუთე ტური
30 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი მოსკოვი — ალანია | 1,5 | 2,7 | 4,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-3 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | [illegible] | 3-1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 4-1 | [illegible] | [illegible] | 2-1 | 3-0 | [illegible] |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | [illegible] | 2-0 | 3-2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 0-4 | 1-3 | 4-1 | [illegible] |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-1 | ■ | | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-5 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | 1-3 | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | [illegible] | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-3 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | [illegible] | | 4-2 | ■ | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | 2-0 | | | | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | 2-0 | 1-1 | | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | | 0-1 | ■ | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | 0-2 | | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-3 | 3-0 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

ელდარ კურტანიძე:

# გამარჯვება დაკარგულ მამაჩემს ვუძღვენი

მერაბ რატიშვილი

ბუდაპეშტიდან



ელდარ კურტანიძე

დაიბადა 1972 წლის 16 აპრილს.
სიმაღლე 170 სმ, წონა 90 კგ.
1992: ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში
1993: მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი
1993: ევროპის ვერცხლის პრიზიორი
1995: ევროპის ვერცხლის პრიზიორი
1996: ევროპის ჩემპიონი

მოიპოვა თუ არა ელდარ კურტანიძემ ევროპის ჩემპიონობა, წამსვე ჟურნალისტთა ალყაში აღმოჩნდა, მაგრამ ყველა მსურველის დაკმაყოფილება მაინც ვერ მოხერხდა. რამდენიმე უცხოელმა კოლეგამ მე მთხოვა დახმარება. ჰოდა, სხვების პატრონობა-დევნაში ისე გამოვიდა, რომ ელდარი სალაპარაკოდ ვერ მოვიხელთე, თუმცა ჩვენი საუბარი მაინც შედგა ბუდაპეშტის სასტუმრო „სტადიონის" ერთ-ერთ ნომერში, სადაც საქართველოს დელეგაციამ კურტანიძის გამარჯვების აღსანიშნავად პატარა ვახშამი მოაწყო.

**— ელდარ, წინასწარი შეხვედრების ფონზე ისე ჩანდა, რომ ფინალში ცოტათი გაგიჭირდათ...**

— პირველი ორი შეხვედრა ირლანდიელთან და აზერბაიჯანელთან ისე დავამთავრე, ვერც გავოფლიანდი. მურთაზალიევთანაც არ დამიხარჯავს ბევრი ძალა. დიდი დატვირთვა ვერ მივიღე, ისეთი, ფინალამდე მისვლას რომ სჭირდება. სუნთქვაც კი არ გამხსნია წესიერად. ამიტომაც ფინალში ცოტათი დავიღალე.

**— ხომ არ გადაიწვით?**

— არა, უბრალოდ, ფინალამდე ერთი დაძაბული ბრძოლა მაინც მჭირდებოდა. თანაც, გერმანელი ბალცი არ არის ხელწამოსაკრავი მოჭიდავე და დაძაბულობა ამანაც განაპირობა. ნახევარფინალში რომ შევხვედროდი, ამასაც 10:0-ს მოვუგებდი. ფსიქოლოგიური ტვირთიც დამაწვა: ჩვენი ნაკრები ისე ამთავრებდა ჩემპიონატს, პრიზიორი არ გვყავდა. ვინმეს ჩემამდე მედალი რომ აეღო, იქნებ უფრო მარტივად მქონოდა საქმე.

**— ფინალს დავუბრუნდეთ. ჩოქბჯენიდან წამოდგომისას თქვენ სამქულიანი ილეთი გაუკეთეთ მეტოქეს. ამაზე შეგნებულად წახვედით თუ შემთხვევით გამოგივიდათ?**

— არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს ამ მომენტის თაობაზე. ისე, სპეციალისტთა აზრები გაიყო, მაგრამ ჩემზე კარგად ვინ იცის, რა გავაკეთე. ეს ილეთი დამუშავებული მაქვს და ბავშვობიდან ვაკეთებ. ჩემმა ყველა მეტოქემ იცის ეს. არც ბალცი იყო გამონაკლისი და ამის საწინააღმდეგოდ კონტრ-ილეთი შემომთავაზა. მე კონტრაზე კონტრით ვუპასუხე და სულ ეს იყო. მართალი გითხრათ, თავიდან ამის გაკეთებას არ ვაპირებდი — უბრალოდ, სისხლში მაქვს გამჯდარი და ავტომატიზმამდე მიყვანილი.

**— ფინალში ბალცთან გერჩივნათ ჭიდაობა თუ ხადარცევთან?**

— დღეს საღამოს ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, გაგიხარდათ თუ არა, ხადარცევს რომ ასცდითო. მე ვუპასუხე, ეს ხადარცევი ამცდა მე და იმას უფრო უნდა უხაროდეს-მეთქი. მახარბეკმა სხვებთან წააგო. რატომ და როგორ, სულაც არაა ჩემი საქმე. ერთს ვიტყვი — ხადარცევი ლეგენდარული მოჭიდავეა, მაგრამ ფინალში მაინც მასთან მერჩივნა ჭიდაობა — გაცილებით უპრობლემოდ მოვიგებდი.

**— შეჯიბრების დაწყებამდე თუ გრძნობდით, რომ ჩემპიონი გახდებოდით?**

— მორწმუნე კაცი ვარ. წამოსვლის წინა დღეს მეტეხის ტაძარში წირვის შემდეგ სანთლები დავანთე. იქიდან დაწყებული ვიცოდი, რომ ჩემპიონი გავხდებოდი. იყო მეორე მომენტიც — ჩემი გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა ჩემს ოჯახს და ჩემს ქვეყანას. ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**— რას გრძნობთ ახლა, ოქროს მედლის მიღებიდან ორი საათის შემდეგ?**

— ჯერჯერობით უდიდეს სიხარულს. საქართველოს ჰიმნი რომ დაუკრეს, ცრემლები მომადგა. იმდენი გაჭირვებისა და უბედურების შემდეგ, რაც მე და ჩემმა ოჯახმა გადავიტანეთ, ეს დიდი შვებაა. მამაჩემი უგზო-უკვლოდაა დაკარგული სოხუმის ამბების შემდეგ და სადაც არის, ეს მედალი მას მინდა ვუძღვნა. ისიც მგონია, რომ ჩემი გამარჯვება ყველას გაუხარდება საქართველოში — უბრალო გლეხით დაწყებულს, ქვეყნის პრეზიდენტით დამთავრებულს.

**— თქვენ გაქვთ რიტუალი, რომელსაც ყველა შეხვედრის წინ ასრულებთ. ფინალში რატომ არ გააკეთეთ?**

— საერთოდ, ყველა სპორტსმენს აქვს რაღაც რიტუალი. არც მე ვარ გამონაკლისი. ეს კარგად მაქვს დაცდილი. ფინალის წინ შენიშვნა მომცეს, ხალიჩაზე ქურთუკით არ გამოხვიდეო. ჰოდა, ალბათ ამიტომაც იყო, ფინალში მეტოქემ ორი ქულა რომ ამართვა. ჩემპიონი კი გავხდი, მაგრამ გაცემული ორი ქულა მაინც ძალიან მენანება.

**— ატლანტის ოლიმპიადა კარზეა მომდგარი...**

— ყველა სპორტსმენს, ვისაც ლიცენზია მიღებული აქვს, გულში ატლანტის ოქროს მოპოვების იმედი აქვს. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ.

## ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ბუდაპეშტი. 21-25 მარტი

48 კგ

1. ვიქტორ ეფტენი (უკრაინა), 2. არმენ მკრტიჩიანი (სომხეთი), 3. ვუღარ ორუჯევი (რუსეთი)... 8. ვასილი გოგოლევი (საქართველო)

52 კგ

1. ვლადიმერ თოგუზოვი (უკრაინა), 2. ივან ცონოვი (ბულგარეთი), 3. ნამიგ აბდულაევი (აზერბაიჯანი)... 13. გოჩა კირკიტაძე (საქართველო)

57 კგ

1. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი), 2. პარუნ ბოგდანი (თურქეთი), 3. არიფ აბდულაევი (აზერბაიჯანი)... 15. გიორგი გაგიშვილი (საქართველო)

62 კგ

1. მაგომედ აზიზოვი (რუსეთი), 2. ჯოვანი სკილაჩი (იტალია), 3. სერგეი სმალი (ბელარუსი)... 18. დავით პოლოსიანი (საქართველო)

68 კგ

1. ვადიმ ბოგიევი (რუსეთი), 2. არაიკ გევორქიანი (სომხეთი), 3. ზაზა ზოზიროვი (უკრაინა)... 9. ემზარ ბედინეიშვილი (საქართველო)

74 კგ

1. ბუვაისა საიტიევი (რუსეთი), 2. როდიონ კერტანტი (სლოვაკეთი), 3. ვალერი ვერხუშინი (მაკედონია)

82 კგ

1. მაჰამად იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი), 2. ლასლო დვორაკი (უნგრეთი), 3. ჰაჯიმურად მაგომედოვი (რუსეთი)... 7. ავთანდილ გოგოლიშვილი (საქართველო)

90 კგ

1. ელდარ კურტანიძე (საქართველო), 2. ჰაიკო ბალცი (გერმანია), 3. საგიდ მურთაზალიევი (უკრაინა)

100 კგ

1. მარეკ გარმულევიჩი (პოლონეთი), 2. მილან მაზაცი (სლოვაკეთი), 3. დავიდ მუსულბესი (რუსეთი)... 8. ზაზა ტყეშელაშვილი (საქართველო)

მძიმე წონა

1. მაჰმუდ დემირი (თურქეთი), 2. ტილე შვები (გერმანია), 3. მერაბ ვალიევი (უკრაინა)... 7. ზაზა თურმანიძე (საქართველო).

**ევროპის ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღო 33 ქვეყნის მოჭიდავემ. გათამაშდა 80 ოლიმპიური ლიცენზია. ქვეყნების მიხედვით ლიცენზიები მოიპოვეს:**

**უკრაინა 9, რუსეთი 9, ბელარუსი 7, საქართველო 5, თურქეთი 5, უნგრეთი 5, გერმანია 5, აზერბაიჯანი 4, მოლდოვა 4, რუმინეთი 4, ბულგარეთი 4, საბერძნეთი 4, პოლონეთი 3, სლოვაკეთი 3, ესტონეთი 2, სომხეთი 2, იტალია 1, შვედეთი 1, ლიტვა 1, ჩეხეთი 1, მაკედონია 1**




# ურწმუნო მორწმუნე, რომელსაც შიდსი არ აშინებს

„შპორტ-ბილდის" ჟურნალისტებს სულაც არ აწუხებთ ის პრობლემები, „სარბიელის" მესვეტეს რომ გააჩნია. აგერ მაიკ ტაისონთან ინტერვიუს აღებაც არ გაუჭირდათ და მართალია, ეს წერილი გერმანულ ჟურნალში ბრუნოსთან ჩხუბამდე იყო დაბეჭდილი, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული ჩვენთვის ახლაც არ იქნება.

**— ამაოდ გელოდით ლოს-ანჯელესში 150-ზე მეტი ჟურნალისტი, თქვენ პრეს-კონფერენციაზე არ გამოცხადდით...**

— მე მითხრეს, იქ ბრუნო არ იქნებაო და გადავწყვიტე არც მე წავსულიყავი.

**— ეს ხომ ეწინააღმდეგება თქვენს ახალ, მუსულმანურ რელიგიას, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი უნდა დააფასოთ?**

— ვარედან დანახული თვალით მე დამნაშავე ვარ, მაგრამ იქიდან გამოვედი, რომ დონ კინგი ყველაფერს მოაგვარებდა და ჩემი არყოფნის მიზეზს განუმარტავდა ჟურნალისტებს.

**— გჯერათ დონ კინგის?**

— მე არავისი არ მჯერა, მხოლოდ ჩემი თავის სიძლიერის მწამს. მე დონ კინგი ძმასავით მიყვარს, მაგრამ მას არ ვენდობი. დონმა ბევრი რამ გააკეთა ჩემთვის და თანამიგრძნობდა, როცა ციხეში ვიჯექი. მე მას ამას ვუფასებ.

**— ცხოვრება ხომ აუტანელი და საზარია, როცა კაცი ვერავის ენდობა.**

— მოკრივეობა მგლური პროფესიაა. ყველა თავის თავსა და დიდძალი ფულის მოხვეჭაზე ფიქრობს. სიტყვის გატეხვა ან ტყუილი აქ მოსული ამბავია. ხალხი პირში გიცინის და იმაზე ფიქრობს, როგორ ჩაგცეს ზურგში ლახვარი.

**— ამის გამო იყო, რომ დაჭერამდე და ციხეშიც კრივისადმი ინტერესი გქონდათ დაკარგული და სპორტისათვის თავის დანებებას აპირებდით?**

— არა. მე აქაური სამყაროს სიავენი კარგად ვუწყოდი და ილუზიებიც არ მქონია. თავისუფალი ვიყავი და თავს საპყრობილეში გამოკეტილად ვგრძნობდი.

**— შემდგომ მართლაც დაგაპატიმრეს...**

— ციხეში უფრო ლაღად ვგრძნობდი თავს, ვიდრე გარეთ, მაგრამ იქ ცხოვრება მაინც აუტანელია. იქ იმ დასკვნამდე მივედი, რომ მუშტების ქნევის მეტი არაფერი შემიძლია. ჩემი შვილების შემდეგ კრივი უმთავრესი რამაა ჩემს ცხოვრებაში. მან მე ბევრი რამ მომცა და მეც მინდა სპორტს რაიმე უკან დავუბრუნო.

**— მაგალითად რის დაბრუნებას აპირებთ?**

— მიჭირს ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. ისე კი აზრად ერთი კარგი იდეა მომივიდა: მოკრივეთა პროფკავშირის შექმნა მსურს. ამის ზოგადი გეგმები უკვე მოხაზულია და ეს პროფკავშირი ისე უნდა მუშაობდეს, რომ ჩვენ, მოკრივეებს დაგვეხმაროს. ეს ხომ შესანიშნავი იქნება: ჩვენი შემოსავლის ნაწილი ამ ორგანიზაციაში გადაირიცხება და გაჭირვებულ მოკრივეებს წაეხმარება.

**— რა ადგილი უკავია ფულს თქვენს ცხოვრებაში?**

— ფული საკმაოდ მაქვს, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ცხოვრება ფულისა და ალიარების გარშემო არ ბრუნავს. მთავარია წესიერად მოიქცე, ღმერთმა რომ კეთილი თვალით გადმოგხედოს. ამიტომაც ადამიანობას და კაცობას მე სულ სხვა თვალით ვუყურებ.

**— ესე იგი გაბრაზებული არ უნდა იყოთ ბრუნოზე, რომელიც თქვენს ბრძოლამდე ქილიკით მოგიხსენიებდათ.**

— პირველ რიგში ეს მისი საქმეა, თანაც მეტოქის აბუჩად აგდება ჩვენი პროფესიის განუყოფელი ნაწილია. ბრუნო ნამდვილი ჯენტლმენია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ყველა ადამიანები ვართ ჩვენი პატარ-პატარა სისუსტეებით. მე ადრე იგივეთი ვუპასუხებდი, მაგრამ ეს ძველი ტაისონი იყო, რომელიც ისტორიას ჩაბარდა.

**— როგორ იქცევა ახლა ტაისონი?**

— ხშირად ლოცულობს და მიმტევებელი ადამიანია.

**— რამადანის მარხვა როგორ შეინახეთ?**

— უბრალოდ ამ პერიოდში ვარჯიში მეორე პლანზე გადავწიე და სულიერ ცხოვრებას ჩავუღრმავდი.

**— იმის გამო პრობლემა ხომ არ გექნებათ, რომ ასეთ სასტიკ სპორტში მოღვაწეობთ, რელიგიურად კი მიმტევებელი უნდა იყოთ?**

— არა. მე პროფესიონალი ვარ და ისეთი სამუშაო მაქვს, სადაც ადამიანი უნდა გალახო. ამის შესახებ მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია.

**— რა შეგრძნება დაგეუფლათ, როცა შეიტყვეთ, რომ თქვენი კოლეგა ტომი მორისონი შიდსით იყო დაავადებული?**

— ტომი ძლიერ შემეცოდა, ის ჩინებული მოკრივეა. მე შიდსის არ მეშინია, მაგრამ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ყველამ ამ ვირუსის ტესტირება გავიაროთ.

თარგმნა ერეკლე კიკილაშვილმა

CROCO-2

ტირაჟი № 16

(31 მარტი)

1. ატალანტა — ტორინო
2. ბარი — რომა
3. ინტერი — ფიორენტინა
4. ლაციო — ვიჩენცა
5. ნაპოლი — კალიარი
6. პადოვა — კრემონეზე
7. პიაჩენცა — მილანი
8. უდინეზე — სამპდორია

ტირაჟი № 17

(30-31 მარტი)

1. სალამანკა — კომპოსტელა
2. სოსიედადი — ბეტისი
3. სანტანდერი — ოვიედო
4. ატლეტიკო — რეალი
5. ხიხონი — ვალეკანო
6. სევილია — სარაგოსა
7. ესპანიოლი — მერიდა
8. სელტა — ვალიადოლიდი

# მაგ ზღვისრეთში სტუმრობაო, არ გეგონოს ხუმრობაო



## ზე-12-ის პირველობა

27 მარტი

ოქლენდი 48:30 დას. კონცხი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი (ზ) | 4 | 3 | 0 | 1 | 167:116 | 17 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 4 | 3 | 0 | 1 | 135: 75 | 15 |
| ოთაგო (ზ) | 4 | 3 | 0 | 1 | 167:116 | 15 |
| ქვინზლენდი (ავ) | 4 | 3 | 0 | 1 | 127:120 | 14 |
| კანბერა (ავ) | 4 | 3 | 0 | 1 | 98:115 | 14 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 3 | 3 | 0 | 0 | 121: 66 | 13 |
| ნატალი (აფ) | 3 | 2 | 0 | 1 | 99: 77 | 9 |
| ველინგთონი (ზ) | 4 | 1 | 0 | 3 | 113:119 | 7 |
| ვაიქათო (ზ) | 4 | 1 | 0 | 3 | 97:141 | 6 |
| ტრანსვაალი (აფ) | 5 | 1 | 0 | 4 | 77:129 | 5 |
| ქენთებრი (ზ) | 4 | 0 | 1 | 3 | 76:144 | 3 |
| დას. კონცხი (აფ) | 5 | 0 | 1 | 4 | 115:174 | 3 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა

V ტური. 29. III: ქენთებრი — ახ. სამხრ. უელსი, კანბერა — ნატალი, ქვინზლენდი — ჩრდ. ტრანსვაალი; 30. III: ოთაგო — ველინგთონი, ვაიქათო — დას. კონცხი

შეჯიბრის დაწყებამდე ტრანსვაალის შანსები 7:1 იყო შეფასებული. გუნდს განაცხადში ხომ ერთბაშად 17 „ქურციკი" შეეყვანა და თანაც მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი — ქიჩ ქრისთი წვრთნის. ბუქმეიქერები მეტი ნდობით მხოლოდ ოქლენდს მოკიდებოდნენ — 2:1.

მაგრამ მოვლო ტრანსვაალმა ავსტრალია და ზელანდია, ოთხჯერვე დამარცხდა და „მეფსონეთა მამებმაც" უმალ შეცვალეს კოეფიციენტი — ახლა იგი 16:1 ტოლია. სამაგიეროდ, ოქლენდის ავტორიტეტმა იმატა — მისი ჩემპიონობის გამომცნობს ფსონის დაბრუნებას 6:4 შეფარდებით სთავაზობენ.

ტრანსვაალის გზას ახლა დანარჩენი სამი აფრიკული გუნდიც დასდგომია, ოლონდაც თუ მაჩანჩალა კონცხმა ზღვისრეთული ტურნეს ნახევარი უკვე გალია, ახალ ფავორიტებს — ნატალსა და მეტადრე ჩრდ. ტრანსვაალს ოთხმატჩიანი გამოცდები ეწყებათ. ნატალი ტრანსვაალის სვლაგეზით იმოძრავებს — მოივლის კანბერას, სიდნეის, ველინგთონსა და დანიდინს (ოთაგოს), ჩრდ. ტრანსვაალი კი ბრისბენს (ქვინზლენდი), ქრაისთჩერჩს (ქენთებრი), ოქლენდსა და ჰამილთონს (ვაიქათო) ეწევა.

კონცხი, ვისი 10 ნომერიც მსოფლიო თასის ფინალის მომგები ჯოელ სტრანსკია, უმოწყალოდ დაანგრია ოქლენდმა, ვინაც ამ თამაშში ექვსი ლელო გაიტანა, პრემიალური მეხუთე ქულაც მიითვალა და დაწინაურდა. გამარჯვებულთა 10 ნომერმა კარლოს სპენსერმა აფრიკელებს თითო ლელო და არეკნი და სამ-სამი საჯარიმო და გარდასახვა გაუტანა, რითაც 23 ქულა მოიმკო.

### საზოგადო გაზეთებისა და ტელე-არხების სპორტული რედაქტორების საყურადღებოდ!

12 აპრილს, ქუთაისში, საქართველოს კაცთა ნაკრები ჩეხეთისას მასპინძლობს, 16 აპრილს ქვეყნის ჩემპიონატი იწყება, 1-2 ივნისს ჩვენები ლისაბონში შვიდკაცას მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში ითამაშებენ, ივლისში კი სტუდენტური ნაკრები ტრანსვაალში მესამე მსოფლიო თასზე იასპარეზებს.

საქართველოს რაგბის კავშირი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული იმით, რომ რაგბი „სარბიელისა" და „მეორე არხის" გარდა მედიის სხვა საშუალებებითაც გაშუქდეს. ამისთვის კავშირი იქეთა კვირაში თავის ახალ ოფისში (სპორტის დეპარტამენტის შენობის მარცხენა ფრთა, მესამე სართული) აწყობს 1996 წლის სარაგბო სეზონის წარდგენას (ანუ პრეზენტაციას).

სტუმარ ჟურნალისტებს შეხვდებიან რაგბის კავშირის ხელმძღვანელები და ეროვნული ნაკრების მწვრთნელები და მოწინავე მოთამაშეები. მათვე მუქთად ჩამოურიგდებათ წიგნაკად გამოცემული საინფორმაციო პაკეტი, სამუშაოდ აუცილებელ ყოველგვარ ინფორმაციას რომ შეიცავს.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ 29-47-54 ან -63.





# აგასი მაინც აგასია!

**კი-ბისკეინში** (ფლორიდა) გახურდა „ლიპტონის ჩემპიონატი", დიდი სლემის ტურნირების კვალად უპრიორიტეტულესი რომაა.

გადასარევად თამაშობს მაყურებელთა ფავორიტი, შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი (აშშ, 3), თუმც კი სტაბილურობა აკლია. ანდრემ ორშაბათს სამ ხელში აჯობა ფრანგ ჟან-ფილიპ ფლურიანს, სამშაბათს 6:4, 6:4 მოუგო ფრანგსავე სებასტიან ლერუს, ოთხშაბათს კი მსოფლიოს 71-ე ჩოგანი, კალიფორნიელი მაიკ ჯოისი მეოთხედფინალში 6:4, 6:1 ხომ დაამარცხა და მეორე ხელში იმდენიცა ჰქნა, რომ ერთხელ ფეხებს შორისაც გაიძვრინა ბურთი და ქულაც მოიგო. ამის შემხედვარე მაყურებლები წამოდგნენ და მხურვალე ტაში დასცხეს.

ფინალისაკენ იკაფავს გზას ანდრეს ძმობილი პიტ სამპრასიც (აშშ, 2). ამან მერვედფინალში 6:3, 6:4 დაამარცხა თანამემამულე თოდ მარტინი. ამ ეტაპზე მოიგო მაიკლ ჩანგმაც (აშშ), თუმც ჩეხმა პეტერ კორდამ მეორე ხელში უზადოდ დაამარცხა.

სამშაბათსვე გავარდა ვეტერანი სტეფან ედბერგი (შვედეთი). მართალია, მან წინა დღით ზეიმ თომას მუსტერი (ავსტრია, 1) მძლეველი ვერესუელელი ნიკოლას პერეირა გაგდო, მაგრამ მაჯა ისე დაიშავა, რომ [illegible]. ამის შემდეგ გასაკვირი იყო, თუ შვედი სამშაბათს მერვედფინალში დაამარცხა ფრანგმა არნო ბეჩმა, ვისაც სტეფანთან აქამდე ცხრაჯერ წაეგო.

ბეჩი ამასაც არ დასჯერდა და ოთხშაბათს, მეოთხედფინალში, 2 საათიანსა და 40 წუთიან ორთაბრძოლაში 7:6, 2:6, 7:5 აჯობა ექს-ჩემპიონ ჯიმ კურიეს (აშშ, 7), ვინაც მანამდე ჯერ ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6, 6:0 დაამარცხა, მერე კი მაიქლ თებოთს (ავსტრალია) მესამე ხელში 7:5 ძლივს მოუგო. ბეჩთან თამაშში კურიეს 20 ბრეიქ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ შანსი სულ ოთხჯერ გამოიყენა, ისე შაბლონურად თამაშობდა. ფრანგმა, პირიქით, საზრიანობით მოიგო მაყურებლის გული. ბეჩი ნახევარფინალში აგასის შეხვდება და ხალხიც უკეთეს სეირს ელის.

**კარგად** თამაშობენ ქალებიც, განსაკუთრებით კი შტეფი გრაფი (გერმანია, 1). ამერიკელი ჯიჯი ფერნანდესის ძლევის შემდეგ გრაფმა მისივე მოგვარე, სახელად მერიჯო (9) 6:1, 6:0 გაანადგურა, რაც გასაკვირი სულაც არ ყოფილა, ვინაიდან ამათი შეხვედრების ბალანსი 14-0 ყოფილა გერმანელი ქალის სასარგებლოდ.

გრაფმა ფერნანდესს ორშაბათს მოუგო, სამშაბათის მეოთხედფინალში კი იაპონელ კიმიკო დატეს 7:6, 6:3 აჯობა. წუხანდელ ნახევარფინალში შტეფის მეტოქე იქნებოდა ნორჩი ამერიკელი ლინდზი დავენპორტი, რომელმაც 6:0, 6:1 დაანგრია გერმანელი ანკე ჰუბერი.

სატურნირო ბადის მეორე ნახევრის უმთავრეს მერვედფინალში ორშაბათს შეიბნენ გაბრიელა საბატინი (არგენტინა) და ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). ჩოგბურთში დაბრუნებულ ჯენის ერთობ აკლია სათამაშო პრაქტიკა, მაგრამ მეტოქე მეორე ხელში ზედიზედ რომ შეცდა, გარდატეხის შანსი მიეცა. ამაოდ — გაბიმ 6:1, 6:4 გაიმარჯვა, მაგრამ მეოთხედფინალში თავადაც დამარცხდა: ამერიკელმა ჩანდა რუბინმა მეორე ხელში თუმც სამი მატჩ-პოინტი დაფლანგა, 6:3, 5:7, 6:3 მაინც მოუგო არგენტინელს და წუხელ ნახევარფინალში ეთამაშებოდა განუთესელ სლოვაკ კარინა აბსუდოვას, ვინაც მეოთხედფინალი 6:4, 7:5 მოუგო რუმინელ არინა სპირლეას.

**იქეთა** კვირაში, 5-7 აპრილს, აშშ-ს დევისის თასის მატჩი ელის ჩეხეთთან, ამერიკელთა კაპიტანი თომ გალიქსონი კი შავ დღეში ჩაუყენებია ვარსკვლავთა უარობას: კი-ბისკეინში მოასპარეზე ოთხივე ბობოლას — სამპრასს, აგასის, კურიესა და ჩანგს განუცხადებია, ვინაიდან ატლანტის ოლიმპიადისთვის ვემზადებით(?!), ჩეხებთან სათამაშოდ სადა გვცალიაო (!!)

გალიქსონსაც რაღა დარჩენია: ერთეულთა მატჩებში თოდ მარტინისა და მალივაი ვოშინგთონის გამოყვანას აპირებს, წყვილი კი სპეციალიზებული ჰყავს — პატ მაკინროუ და პატ გალბრეითი.

ისე კი, აშშ-ზე ახიც იქნება, თუ წააგებს — ქვეყანა თასის მფლობელია, მოთამაშეები კი, თუნდაც მოწინავენი, ისე ვერ მოურჯულებია, მათ ხუშტურზე რომ არ იყოს დამოკიდებული.



# სნეულთა მოკითხვა წესადა აქვთ

სპილოს ძვლის ნაპირელი გარემარბი მაქს ბრიტო შარშანდელ მსოფლიო თასზე ტონგასთან თამაშის დასაწყისშივე რაქს ქვეშ მოჰყვა და კისერი ისე დაიშავა, რომ თუმც რიუსტენბურგის სტადიონიდან შვეულმფრენით უმალ პრეტორიის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, აღარაფერი ეშველა და დაკუტდა.

ბრიტოს შინ, საფრანგეთის ქალაქ ბისკაროზში ცოლი და ორი შვილი დარჩა სარჩენი. მთელს მსოფლიოს მოეფინა მისთვის შველის მოწოდება და ბრიტოს ფონდში უკვე დიდძალი ფულიც მოგროვდა.

საპყარ მორაგბეს თამაშზე გული არ აუყრია — კვლავაც თვალ-ყურს ადევნებს. არც სარაგბო სამყარო ივიწყებს თავის გაუბედურებულ წევრს. აი, ახლაც, ინგლისის ნაკრების 11 წევრს სხვა მოთამაშეებიც შეუამხანაგებია და დასავლეთ აფრიკაში ორი საქველმოქმედო მატჩის გამართვას აპირებს სამხრეთაფრიკელთა გუნდთან, რომელსაც დიდი 10 ნომერი ნაას ბოთა უთავკაცებს. ერთი თამაში განაში გაიმართება, მეორე — სპილოს ძვლის ნაპირზე.

ფრანგული და მსოფლიო რაგბის დიდმოხელე მარსელ მარტენი, მაქს ბრიტოს ძმა და ცოლი ალფონსინი პრეტორიის საავადმყოფოს ჰოლში იმ ავადსახსენებელ დღეს

# დაიანა მუდალი გაამართლეს

800 მეტრზე მორბენალი ბრიტანელი ქალი დაიანა მუდალი 19 თვე ედავა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას (იააფ) და ბოლოსდაბოლოს კიდეც გაიმარჯვა: იააფ-მა ორშაბათს, ქეიფთაუნის კონგრესზე უცოდველად სცნო ბრიტანეთის თანამეგობრობის ჩემპიონი და მისადმი თავის დროზე წაყენებული ყველა ბრალდებაც გააუქმა, რაც იმის გარანტიაა, რომ ქალს ოთხწლიან დისკვალიფიკაციას არბიტრაჟისთვის გადაუცემლადაც მოუხსნიან.

ყველაფერი 1994 წლის ივნისში, ლისაბონში დაიწყო, სადაც მუდალს შარდში ტესტოსტერონის იმდენად დიდი წილი აღმოაჩნდა, რომ მძლეოსანი უმალ დასაჯეს დოპინგ-ტესტის ჩაფლავებისთვის.

მუდალმა იმთავითვე დაიწყო თავის მართლება და ჩივილი, კიდეც მიიმხო ბრიტანეთის მძლეოსნობის ხელისუფლები, პროფესორმა საიმონ გესკელმა კი დაიანას გასამართლებლად მთელი თეორიაც შეთხზა, აქაო და ლისაბონის ლაბორატორიაში ისე უწესოდ ინახავენ სინჯებს, რომ უფუჭდებათ და ანალიზისას ფანტასტურ შედეგებს იღებენო.

გასკელის მტკიცებამ გაჭრა: ლისაბონელები ისე დაფრთხნენ, რომ ხელმეორე გასინჯვაზე უარი თქვეს. ამან იააფ-ი მუდალის სასარგებლოდ განაწყო და როგორც პრეს-რელიზში წერია, სათანადო განხილვის შემდეგ ბრიტანელი ზანგი გაამართლა.

მუდალი ქმარსა და მწვრთნელ ვისენტესთან ერთად ნიუ-მექსიკოში (აშშ) ვარჯიშობს. ვიდრე ცნობა ოფიციალურად გამოქვეყნდებოდა, იააფ-ის გენერალური მდივანი იშტვან დიულაი მუდალების ოჯახს შეეხმიანა და გულწრფელად მიულოცა გამარჯვება.

დაიანა გამარჯვებას არა სჯერდება. იგი ზარალის საკომპენსაციოდ 500 ათას გირვანქას სთხოვს ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციას, პორტუგალიელები კი კატეგორიულად უარყოფენ ლაბორატორიის უწესივრობას.

რეზო ნემსაძე

## ფორმულა-1-ის მსოფლიო პირველობა



II ეტაპი. ბრაზილიის „დიდი პრიზი"

31 მარტი. სან-პაულუ. „ინტერლაგოსი"

ტრასის სიგრძე: 4 325 მ. დისტანცია: 71 წრე — 307,075 კმ. რეკორდი კვალიფიკაციაზე: ნ. მენსელი (უილიამს-რენო) 1.15,703 (205,672 კმ-სთ) (1992). წრის რეკორდი (რბოლისას): მ. შუმახერი (ბენეტონ-ფორდი) 1.18,455 (198,458 კმ-სთ) (1994). გამარჯვებულის საუკეთესო დრო: მ. შუმახერი (ბენეტონ-ფორდი) 1:35.38,759 (192,632 კმ-სთ) (1994)

შარშანდელი შედეგები. კვალიფიკაცია: დ. ჰილი (უილიამს-რენო) 1.20,081 (194,428 კმ-სთ). საუკეთესო წრე: დ. ჰილი 1.20,982 (192,264 კმ-სთ). გამარჯვებული: მ. შუმახერი (ბენეტონ-რენო) 1:38.34,155 (186,919 კმ-სთ)

ბრაზილიის „დიდი პრიზი" მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში **1973** წელს გამოჩნდა და მას შემდეგ ორ ტრასაზე — „ინტერლაგოსსა" (**1973-77, 1979-80, 1990-94**) და რიო-დე-ჟანეიროს „ჟაკარეპაგუაზე" (**1979, 1981-89**) ტარდებოდა. ყველაზე მეტი გამარჯვება — ექვსი ბრაზილიაში ფრანგ „პროფესორს", ალენ პროსტს აქვს მოპოვებული (**1982, 84, 85, 87, 88, 90**). ისიც აღსანიშნავია, რომ **1974** და **1981** წლებში რბოლა შეწყვეტილი იქნა კოკისპირული წვიმის გამო.

სწორედ ბრაზილიის დიდ პრიზზე, **1984** წელს შედგა აირტონ სენას დებიუტი, მაგრამ „ჯადოქარი" მერე რვა წელი ელოდა შინ გამარჯვებას და **1991** წელს „ინტერლაგოსზე" კიდეც აისრულა სურვილი. აღსანიშნავია, რომ იმ რბოლის დროს სენამ თანმიმდევრულად „დაკარგა" **4, 3, 5** და **6** გადაცემა, მაგრამ წვიმიან ამინდში, თანაც „სლიკებით" (უპროტექტორო, მშრალი ამინდისათვის განკუთვნილი საბურავებით) მრბოლმა მაინც მოახერხა რიკარდო პატრეზეს შეტევების მოგერიება და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

„ინტერლაგოსის" ტრასა საკმაოდ ნელი, მაგრამ ტექნიკურად რთულია. მასზე ერთმანეთს ენაცვლებიან გრძელი, სწორი მონაკვეთები და ტექნიკური მოსახვევები, რაც რბოლისათვის ავტომობილების მომზადებას ართულებს და პილოტებისაგან სრულ მობილიზებას მოითხოვს.

ბოლო წლებში ამ ტრასაზე კარგად ასპარეზობს მიხაელ შუმახერი, რომელმაც **1994-1995** წლებში გაიმარჯვა. სამაგიეროდ, დეიმონ ჰილს მაინც და მაინც არ უმართლებს. ალბათ წელსაც თუ რაიმე ტექნიკური მიზეზი არ გამოტყვრა, პირველობისათვის ეს ორი პილოტი იბრძოლებს. ამათ დებიუტანტ ჟაკ ვილნევთან მცირე უპირატესობაცა აქვთ — უკეთ იცნობენ ტრასას, კანადელი კი იქ პირველად იასპარეზებს, თუმცა მან უკვე დაამტკიცა, რომ არც უცნობ ტრასებზე გრძნობს თავს უხერხულად.

ალეკო ჟაბუკიანი


**იყიდება**

იატაკის წითელი საღებავი (ქუთაისში დამზადებული)

ოლიფა

ახალი ელექტრო-შალაშინი

ტელ: 95 2256 (საღამოს)


## აქეთური, იქითური და ასე შემდგომ და მისთანები

**დოლი** მსოფლიოს უმდიდრესი დოლი, დუბაის ამირა შეიხ მუჰამედმა ოთხშაბათს რომ გამართა ნადალ-შიბას ქვიშიან იპოდრომზე, მოიგო ამერიკელმა წმინდა სისხლის ბედაურმა „სიგარმა" (მწვრთნელი ბილ მოთი, მხედარი ჯერი ბეილი) და ჯილდოდ 2,4 მილიონი დოლარი დაიმსახურა. მეორე და მესამე ადგილებზეც ამერიკული ცხენები — „სოულ ოვ ზ მეთა" და „ლეკარიუ" გავიდნენ. სულ „მსოფლიო თასად" წოდებულ შეჯიბრში 11 ცხენი ჩააბეს, ჯერაც უძლეველმა „სიგარმა" კი ზედიზედ მე-14 დოლი მოიგო.

**ლიგის რაგბი** მას აქეთ, რაც სიდნეის სასამართლომ საბოლოოდ დააყადაღა მეამბოხე სუპერ-ლიგაში გადასული მოთამაშეების მიერ ბრიტანელთა წაქეზებით დაარსებული მსოფლიო ლიგაც, სუპერ-ლიგის პატრონ „ნიუზ ლიმითედს" კი ავსტრალიის რაგბის ლიგასთან (არლ) დაუზრებულ მოთამაშეთათვის ჯამაგირის ძლევა აუკრძალა, განდგომილ კლუბებსაც რაღა დარჩენოდათ — არლ-ს მიუბრუნდნენ, რისი წყალობითაც ამ უქმეებზე ისედაც სამი კვირის დაგვიანებით დაწყებული სეზონის მეორე ტურის მატჩები უკლებლივ გაიმართება.

**ბალახის ჰოკეი** საერთაშორისო ფედერაციამ (ფიჰ) დაასრულა ორწლიანი კვლევა და დაადგინა, რომ უპრიანი იქნება, თუ ხის ყვანჯების გარდა პლასტმასის, ალუმინის, ბოჭკოვანი მინისა და თვით ტყვიაგაუმტარი ჯავშნის მასალისგან დამზადებული ყვანჯებიც გამოჩნდება ბაზარზე. ამას ერთობ აუფორიაქებია ინდოეთი და პაკისტანი, აქამდე ხის ყვანჯების მთავარი მწარმოებლები რომ იყვნენ, აქაოდა ჩვენთვის მოსალოდნელი ზარალი რომ იქეთ იყოს, ახლებური ყვანჯებით თამაში სახიფათოც იქნება და სიძვირის გამო მასებში ჰოკეის გავრცელებასაც შეაფერხებსო.

**გოლფი** ერთობ იმატა ევროპული ტურის ჰონორარებმა. „მასტერსზე", ოქტომბერში ვალდერამაში (ესპანეთი) რომ გაიმართება, გასამრჯელოდ სულ 900 ათასი გირვანქა დარიგდება, რაც შარშანდელზე 150 ათასით მეტია. ჯილდო მოემატებათ სკანდინავიის „მასტერსისა" და გერმანიის ღია პირველობის გამარჯვებულებსაც, აგრეთვე ევროპული კლასიფიკაციის 15 მოწინავეს.

**მძლეოსნობა** ქეიფთაუნში გადაწყდა, რომ კროსის მომავალი მსოფლიო ჩემპიონატები გაიმართოს: ტურინში (იტალია, 1997 წელს), მარაქეშში (მაროკო, 1998), ბელფასტში (ჩრდ. ირლანდია, 1999) და ფაროში (პორტუგალია, 2000).

**კრივი** შაბათს, მაიამში, არასაჩემპიონო შერკინებაში ვბკ-ის ექს-ჩემპიონმა ოლივერ მაქქოლმა ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ჯეიმზ სთანთონი, ვინაც მეექვსე რაუნდის დაწყება ვეღარ შეძლო. ამჟამად ვბკ-ის ჩემპიონი მაიკ ტაისონია.

**კრიკეტი** მოშუღარი მეზობლები — ინდოეთი და პაკისტანი შეამხანაგებიან „აი-ემ-ჯის" (უცნობილეს სპორტულ სარეკლამო სააგენტოს) და ამიერიდან ყოველწლიურად ხუთ თითოდღიან მატჩში გაითამაშებენ „მეგობრობის თასს". ახალი ქომაგების მისაზიდად ამ ახალი ჯილდოს პირველი გათამაშება სექტემბერში მოეწყობა არა-საკრიკეტო კანადაში.

**კალათბურთი** ნბა-ში „ორლანდო მეჯიქს" ნელზე მეტი იყო, შინ არ წაეგო, მაგრამ გუშინწინ დამარცხდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერზთან" 91:113.


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:

ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29